


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, ბრძოლით ბეჭდუბი სიფყვას, ფეტილებით და ჭაბუბით ბუბთის გაფანა ყველა უკადრისბბაჩე უსაბაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 6 ივნისი, 2015 წელი.


№103 (7748)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.



განო კალანდია
75

მე შავი ზღვისას ჩაფყურებ კბოდეს

თქვენ უფლისწულის ვარდები მიგაქვთ, მე – თქრთსფერი მდინარის შლამი, მე ჩემი ხსოვნის ავიღებ ჭიქას, თქვენ უკვდავების დაღიეთ ჯამით.

მე შავი ზღვისას ჩაფყურებ კბოდეს და გცნობ თვალებით იაზონს ვერაგს, თქვენ ქვეყნის დიბა-ატლასი გქონდეთ, მე განთიადის ჩაფიცვამ პერანგს.

მე შავი ზღვისას ჩაფყურებ კბოდეს და წყლულზე ვიფენ ფაზისის ბალახს, თქვენ კარდინალის სამთისი გქონდეთ, მე მამაჩემის მოვისხამ ხალათს.

მე შავი ზღვისას ჩაფყურებ კბოდეს და გრიგალს ვხვდები შიშველი მკერდით, თქვენ საუკუნის დიდება გქონდეთ, მე დულცინებს მოვისვამ გვერდით.

შუამავლის მსხვერპლი, 5

რომლებსაც თურქეთში დასაქმება სურთ

„შუამავლები ქართველები არიან, რომელთა დიდ ნაწილს პასპორტი გაუფუჭებული აქვს, მაინც იმ იმყოფებიან“

ერთ დროს აყვავებული დარბი დღეს სულ დაფანს

იმპორტირებულ ჩაის გემო და არომატი არა აქვს იმიტომ, რომ ეს კვალი, საღებავებით გააქაჩილი პროდუქტია“



500 მილიონზე მეტი ევროპელი მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

ქვეყანამ არაერთი კალდებულა უნდა შეასრულოს



გიშვებით გავსებული მსოფლიო პოლიტიკა



დამფუძვლები მეგობართან



გურამ გგელაძე გმირად იყო დაბადებული



სტრასბურგის სასამართლომ საქმე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ ივლისში უნდა დასრულოს

ამის შესახებ წულუკიანმა უკრაინულ **НАУ**-თან ინტერვიუში განაცხადა, სადაც საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ საერთაშორისო დადებებს ისაუბრა.

რუსეთიდან ქართველების მასობრივი დეპორტაციის საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ 2014 წლის 3 ივლისს გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც რუსეთმა 2006 წელს დაარღვია ევროპული კონვენციის არაერთი მუხლი. რუსეთს დაეკისრა ვალდებულება, კომპენსაცია გადაუხადოს საქართველოს მისი მოქალაქეების უფლებების დარღვევისთვის, კომპენსაციის ოდენობაზე შესათანხმებლად კი საქართველოს და რუსეთის იუსტიციის სამინისტროებს 12-თვიანი ვადა მიეცათ, რომელიც რამდენიმე კვირაში იწურება.

„ჩვენ რუსეთის წინააღმდეგ გვქონდა საერთაშორისო პროცედურები სტრასბურგსა და ჰააგაში. პირველი საერთაშორისო საქმე სტრასბურგში ჩვენ მოვიგეთ გასულ წელს, მაგრამ კომპენსაციის საკითხი ღია დარჩა. მიმდინარე წლის ივლისში სტრასბურგის სასამართლომ უნდა დასრულოს საქმე და საბოლოოდ გადაწყვიტოს ეს საკითხი. მეორე საქმე სტრასბურგის სასამართლოში, რომელიც ისევ

გრძელდება, 2008 წლის ომს ეხება. გასული წლის დეკემბერში ჩვენ ბოლო მემორანდუმი შევიტანეთ, მაგრამ რუსული მხარის პოზიციაა, თითქოს მას არაფერი დაურღვევია. არსებობს ასეთი საერთაშორისო პროცედურა – სარჩელის შეტანის შემდეგ შეიძლება ხელმოწერილი იქნას შეთანხმება. მაგრამ მე ხაზს ვუსვამ, რომ საქართველო არასდროს წავა მორიგებაზე, იმიტომ რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავად გადაწყვიტონ, დაარღვია თუ არა რუსეთმა ევროპული კონვენციის მუხლები“, – განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, წინა ხელისუფლების დროს ასევე იყო საქმე შეტანილი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში, მაგრამ ეს საქმე რუსეთის წინააღმდეგ წაგებულია. „მიზეზი ის იყო, რომ მათ ყველა მასალა ძალიან სწრაფად მოამზადეს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ როდესაც რეფორმებს ატარებ და სახელმწიფოებრივ ნაბიჯებს დგამ, სხვა დანარჩენისთვის დრო არ გრჩება. მაგრამ მათ რომ გაენალიზებინათ და ეს სარჩელი უფრო სერიოზულად მოემზადებინათ, მოგება შეიძლებოდა. ახლა საერთაშორისო საკითხებში ჩემს მოადგილესთან ერთად ვცდილობ, გავაკეთო ისე, რომ ჰააგაში დასრულდეს ეს საქმე, რომელიც საქართველომ წააგო. ეს უნდა მოხდეს სტრასბურგში მეორე სასა-



მართლოს მოგების შემდეგ. არის მეოთხე საქმეც – სისხლის სამართლის პროცედურა ჰააგის სასამართლოს წინაშე, სადაც წინასწარი ძიება მიმდინარეობს აგვისტოს ომის ფაქტებთან დაკავშირებით. საკითხი დგას ასე – საქართველომ, როგორც რომის სტატუტის წევრმა, უნდა გამოძიოს ფაქტები, იყო თუ არა სისხლის სამართლის დარღვევები საქართველოს, რუსეთისა და ოსური დაჯგუფებების მხრიდან. საქართველოსთვის ეს ძალიან დელიკატური საკითხია, ვინაიდან გამორიცხული არაა, ჰააგის სასამართლომ გადაწყვიტოს, რომ ჩვენი მხარე აქტიურად არ იძიებს ამ საქმეს და თავად წაიღოს გამოსაძიებლად“, – განაცხადა წულუკიანმა.

საქართველო დღეს სულ სხვა ქვეყანაა



საქართველო დღეს განსხვავებული ქვეყანაა იმისგან, რაც იყო 20, 10 ან თუნდაც ორი წლის წინათ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარცაშვილმა სასტუმრო „რედისონში“ დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო საფინანსო და საკონსულტაციო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა.

„ჩვენ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ განვიხილოთ საქართველო“

ში არსებული ეკონომიკური ტენდენციები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი, ასევე დაგეგმილი პროექტების შემუშავების პროცესი და მთავრობის ხედვა ქვეყანაში სტაბილურ და წარმატებულ ეკონომიკურ მომავალთან დაკავშირებით. ძვირფასო ელჩებო, თქვენთან პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე მსჯელობისათვის სხვადასხვა პლატფორმა გვაქვს, მაგრამ დღეს, კერძო სექტორის, წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საკონსულტაციო კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, განვიხილოთ კონკრეტული ეკონომიკური ტენდენციები და ამ სფეროში თანამშრომლობის საკითხები“, — განაცხადა ირაკლი ლარცაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველო არის უნიკალური კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ქვეყანა. მაგრამ, პირველ რიგში, ის უნიკალურია თავისი მოქნილობისა და არსებული ვითარებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების უნარის წყალობით.

ყველა სოხილური პარტიკულაა, რიგის მთავრობას აქვს აღებული, შესრულება

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა იმ შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, თუ რომელ სფეროს შეეხება ბიუჯეტის კორექტირება.

რაც შეეხება საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფინანსის მისიის ვიზიტს და იმას თუ რა რეკომენდაციები დაუტოვებს მათ საქართველოს ხელისუფლებას, ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ მუშაობა გრძელდება სავალუტო ფონდთან იმისთვის, რათა საბოლოოდ მოხდეს შეჯერება.

„თქვენ იცით, რომ ისინი მუშაობდნენ ფინანსთა სამინისტროსთან, ეკონომიკის სამინისტროსთან, ეროვნულ ბანკთან. ჩვენი მიმართულებით ჩვენ უკვე გადავხედეთ მიმდინარე და მომავალი წლის მაკროეკონომიკურ პროგნოზებს და შესაბამისად, ჩვენ ვმუშაობთ ახლა ბიუჯეტის ახალ პროექტზე“, — განაცხადა ხადურმა.

მისივე თქმით, მუშაობა გაგრძელდება შაბათ-კვირასაც და უკვე მომავალი კვირის დასაწყისში მთავრობის ყველა წევრთან ერთად თითოეული სამინისტროს დაფინანსების საკითხის გავლა მოხდება. კითხვაზე, რომელ სფეროს შეეხება ბიუჯეტის კორექტირება და შეეხება თუ არა ეს სოციალურ სფეროს, ხადურმა აღნიშნა, რომ ყველა სოციალური ვალდებულება, რომელიც მთავრობას აქვს აღებული, შესრულებულია.

დედაქალაქი

„დიდი ხეობა“ დასრულდა, „საფთრის ხეობა“ სრულდება

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ავთანდილ სუდაძემ მუხიანის დასახლებულ რაიონში არსებულ „დიდი ხეობას“ სანიაღვრე კოლექტორზე დასრულებული სამუშაოები და „საფთრის ხეობის“ სანიაღვრე კოლექტორზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

კოლექტორებში, რომლის სიგრძეც 6, სიმაღლე კი 4 მეტრია, ნაზვავი გრუნტის მასები ჩაედინებოდა, რის გამოც მათი გამტარუნარიანობა 90%-ით იყო შემცირებული. კოლექტორებზე არსებული პრობლემები კიდევ უფრო აზიანებდა ნაგებობებს და, ამავდროულად, უხვი ნალექის დროს დატბორვის საფრთხეს უქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას.

მერიის ინფორმაციით, უკვე დასრულდა „დიდი ხეობის“ დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა. სარეაბილიტაციო სამუშაოები 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტის მიხედვით, აღდგა 100 მეტრი სიგრძის რკინა-ბეტონის კოლექტორი, მოეწყო მონოლითური კონსტრუქცია. სამუშაოები რთულ პირობებში — მინის ზედაპირიდან 15 მეტრ სიღრმეში მიმდინარეობდა.

ამ დროისთვის მუხიანის დასახლებაში „საფთრის ხეობის“ 610-მეტრიანი სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ასევე კეთდება ახალი — 100 მეტრი სიგრძის მონოლითური რკინა-ბეტონის სანიაღვრე კოლექტორიც.

„გუშინწინ მოსული უხვი ნალექის დროს ამ სისტემამ თავისი პირველი გამოცდა უკვე ჩააბარა და კარგად იმუშავა. მცირედი სამუშაოებიც დარჩენილი, რომელიც უახლოეს მომავალში დასრულდება. სულ მალე გამოვაცხადებთ ახალ ტენდერებს სხვა მონაკვეთებზეც, რათა წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემა, რაც ამ უბნების დატბორვას უკავშირდება, თავიდან ავიცილოთ. ასეთი მნიშვნელოვანი სამუშაოები ქალაქში ეტაპობრივად განხორციელდება, განსაკუთრებით კი ისეთ უბნებში, სადაც სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება აუცილებელია“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

„დიდი ხეობის“ დაზიანებული მონაკვეთების აღდგენის პროექტზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 733.000 ლარი დაიხარჯა. კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები შპს „პალიტრამ“ განახორციელა. რაც შეეხება „საფთრის ხეობის“ ახალი საკომუნიკაციო სისტემის მოწყობას, რომელსაც შპს „საბა კონსტრაქშენი“ აწარმოებს, დედაქალაქის ბიუჯეტიდან მილიონნახევარ ლარამდე, მუხიანი 2-ის დასახლებაში მიმდინარე ახალი კოლექტორის მოწყობის სამუშაოებზე კი, 250 ათას ლარამდე დაიხარჯება.

შეუღილი საგზარო

გიჟებით გავსებული მსოფლიო პოლიტიკა

ჩველს სოფელს, ტრადიციულად, ერთი გიჟი მაინც ჰყავს. თუმცა, იმათი უმრავლესობა მეტ-ნაკლებად „კეთილშობილი“ იყო და არის, აი ისეთი, ნოდარ დუმბაძის ბეჭანა რომ გვახსოვს „მე ვხედავ მზიდან“...

ბეჭანას მსგავსი გიჟები ღმერთმა გვიმრავლოს, მიშა სააკაშვილის და ვლადიმერ ჟირინოვსკის მსგავსნი კი — მტრისას!

ის, რაც მიხეილ სააკაშვილმა სამშაბათს თავის დატერორებულ-დაჩმორებულ „რუსთავი-2“-ის ეთერში ახალგაზრდულ იქედნესთან გიორგი გაბუნიასთან იმუშაურა, რეალობას მონყვეტილი, სადისტი და აგრესიული გიჟის ამოძახილი იყო.

ჩვენ ამის შესახებ უკვე მოვუთხრეთ მკითხველს, ახლა კი რუსეთის დუმის დეპუტატის, სკანდალური გამოხდომებითა და შემზარავი დერჟავული მუქარით გამორჩეული „ორიგინალური“ გიჟის ვლადიმერ ჟირინოვსკის ბოლო სატელევიზიო ეთერს (ტელეკომპანია „დოჟდ“) შეგახსენებთ. „რუსეთის მეფემ ყველაფერი კარგად გააკეთა და დღესაც კარგად აკეთებს. თუ დაბოძავთ დონბასს, დაგვბოძავთ კიევის. თუ დივერსიებს მოაწყობთ, ჩვენ თქვენს ყველა გუბერნატორს გადავცხრილავთ სააკაშვილის-“



გან დაწყებული. აი, მერე შეშინდებიან და მერე შეიქმნება სხვა ვითარება ევროპაშიც და უკრაინაშიც, როდესაც თავდაცვის მინისტრი სარაკეტო ჯარებს მიმართავს ბერლინისა და ლონდონისკენ... ნადეჟდა საეჩენო სხვაზე უნდა დაიხვრტოს და მისი სხეული ბელგოროდში „ჩამოიკიდოს“...

სწორად ამბობენ, ჟირინოვსკი პუტინის ახმოვანებს და სიმართლეს ამბობსო. ამ გამონათქვამის, ამ სიგიჟის შემდეგ მაინც დარწმუნდებით, რომ ჟირინოვსკი პუტინს კი არ ახმოვანებს, არამედ მთელ რუსეთს და მის მთავრობას, მთელ ლიბერალებს ჭრის თავს. აგრესიული გიჟის გარდა ასე ვერავინ ისტვენს და იბაქიბუქებს.

ისე, სააკაშვილისთვის ის დროა, ოდესიდან გარბოდეს, ე მანდ, ჟირინოვსკიმ დანაქადნები არ ალუსრულოს.

თუმცა, სააკაშვილი ხომ ჟირინოვსკიზე უარესია, დედას უტირებს რუსეთს! აგერ არა ჰყავს ამერიკა?!

ღმერთო ჩემო, როგორი დასაბამელი გიჟებით გაივსო დღევანდელი ბინური მსოფლიო პოლიტიკა!..

საბრტაპ ძოზულია

გადათხრილი გზები

ფურცელზე დარჩენილი დაპირებები

პრობლემა, რომელზეც გაიბოზო, კიდევ კარგა ხანს ვერ მოგვარდება. როგორც ჩანს, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორიის მოწესრიგების ვალდებულება მხოლოდ ფარატიანა ფურცელზე რჩება. ამის ნათელი მაგალითია ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორია, სადაც შარშან ზაფხულში „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (GWP) სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა — ძველი გაყვანილობა ახლით შეცვალა. თუმცა, მუშაობის დასრულების შემდეგ კორპუსის წინ ნახევრად ამოვსებული ორმო და გადათხრილი სავალი გზის ნაწილი დატოვეს. სიცხეში იქაურობა მტვერშია გახვეული, წვიმის დროს კი მოსახლეობას ტალახში სიარული უწევს. მოსახლეობის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე ეს პრობლემა არ მოგვარდა.

მართალია, მერიის ზედამხედველობის სამსახური ურჩ კომპანიებს აჯარმებს, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანს. საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე გადათხრილი ტერიტორიასა თუ ტროტუარებს მაინც არაფერი ეშველა. მერიაში ამბობენ, რომ ჯარიმის გარდა, მათზე უემოქმედებს ის სხვა ბერკეტი არ გააჩნიათ.

ტერიტორიაზე ნაძვები დარგეს. თუმცა, მალე ნერგები გაუჩინარდა, მათ ადგილას კი უზარმაზარი ორმო და მილები დარჩა. მერიაში ამგვარი ქმედება იმით ახსნეს, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე „ოლიმპიური სოფელი“ შენდება და მერიის კეთილმოწყობის სამსახურს საკანალიზაციო მილები გაჰყავდა. ნერგები სხვაგან გადარგეს, სამუშაოს დასრულების შემდგომ კი ამ ადგილზე სხვა ნერგების დარგვა იგეგმებოდა. ცხადია, სარემონტო სამუშაოები აუცილებელია, მაგრამ დედაქალაქის მერია წინასწარ შედგენილი გეგმით ხომ უნდა მოქმედებდეს? სხვა თუ არაფერი, ეს ყველაფერი დამატებით ხარჯებთანაცაა დაკავშირებული.

თუმცა, ახალი ნერგების დარგვას ვინ ჩივის, სამუშაოს დასრულების შემდეგ ორმოები მინით ამოავსეს და ყველაფერი ამით დასრულდა. ტერიტორიიდან სამშენებლო ნაგავი ჯერაც არ გაუღებია, მანამდე არაფერი ეშველება. ეს ზაფხულამდე გაგრძელდება“, — გვითხრეს მერიაში.

რაც შეეხება GWP-ს, მერიაში ამბობენ, რომ მათი უფლებამოსილება მხოლოდ დაჯარიმებით შემოიფარგლება. კერძო კომპანიაზე შემოქმედების სხვა ბერკეტი არა აქვთ.

როგორც ჩანს, კომპანიას ჯარიმის გადახდა უღირს, რადგან ასფალტის დაგება უფრო ძვირი უჯდებათ, ამბობენ ექსპერტები. კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წარმომადგენლები კი აცხადებენ: „რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ქსელების განახლება თებერვლის ბოლოს დასრულდა. ამჟამად დარჩენილია გზის საფარის მოწესრიგება, რაც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ კომპეტენცია არ არის. ყოველწლიურად კომპანია და თბილისის მერია ერთობლივად ახორციელებდნენ დედაქალაქის ქუჩების რეაბილიტაციის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც



კომპანია ცვლის ხანდაზმულ მიწისქვეშა კომუნიკაციებს — წყლისა და საკანალიზაციო ქსელებს. ამავე პროგრამის ფარგლებში მონესრიგება თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებს ევალება“.

როგორც ჩანს, მერიას და კერძო კომპანიებს ისიც ვერ გაურკვევიათ, ვის ევალება ტერიტორიის მოწესრიგება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვალდებულებები მხოლოდ ფარატიანა ფურცელზე რჩება. საბოლოოდ, კვლავ მოსახლეობა ზარალდება.

სალომე გოგონია

გურამ მგელაძე ბიურად იყო დაბადებული

„პარლამენტში“, სადაც ბუნება და ადამიანი ერთმანეთს ებრძვიან და ეჯიბრებიან სილამაზის შექმნაში, ერთ-ერთ შემადგენელ გამორჩეულ ადგილზე გერმანელი ხალხისა და კულტურის გამოხატვლად ქალაქს მალდიდან დასცქერის ულამაზესი შენობა „იმპერიალი“.

ეს უბრწყინვალესი ნაგებობათა კომპლექსი და მისი მომსახურე პერსონალი იყო ყოველწლიურად გურამ მგელაძის მასპინძელი.

2012 წლის ადრე გაზაფხული იწურებოდა, როდესაც ტელეფონის ზარმა გვამცნო, რომ „იმპერიის“ მუდმივი სტუმარი თავისი იმპერიული იერსახით ადგილზე გველოდებოდა.

სასახლის პირველ სართულზე თეთრი მარმარილოთი განწყობილი უზარმაზარი კაფე-ბარი მთლიანად ათვისებული ჰქონდა ერთ კაცს, რომელიც დიდ სავარძლებსა და პატარა მაგიდებს შუა მოძრაობდა. დარბაზის ერთ კუთხეში კი ერთ-ერთ მაგიდაზე განწყობილი იყო: ყავა, ნაყინი, ცივი წყალი და ოქროს ვარაყებში გახვეული უძვირფასესი „ვისკი“.

ორნი ვისხედით. მიკითხ-მოკითხვის შემდეგ მცირე პაუზა... და დაიწყო თხრობა:

– „მიყვებოდა რაც შეხვედროდა უბედურება, რაც კი ხიფათი გამოველო ზღვაზე თუ ხმელზე“. ბოლო საუბარი ასე დაასრულა:

– ოთხმოცი წლის ვხდები 4 აპრილს, ევროპის ნებისმიერ დიდ ქალაქში დიდი სუფრის გაშლა შემიძლია ჩემი მეგობრების პატივსაცემად, მაგრამ სად არიან აქ ის მეგობრები, რომლებიც მე მენატრებიან. მე ჩემი აბაშელი მესიმიინდე, მეცხოველე, მეაბრეშუმე, კირითხურო მირჩევნია ტყუილებზე აგებულ მთელ ევროპას. ევროპა ემოციებისგან დაცლილი ქვეყანაა. ემოციის შესაძენად კი იმ ადგილებს უნდა ეწვიო, სადაც დაიბადე, სადაც გაიზარდე, ისწავლე და იშრომე. აქ, ევროპაში, ლოგინში ისე ღამე არ გამოთენება, რომ სიზმარში ჩემი საქართველო და თბილისი არ მენახოს, არასდროს ევროპის არც ერთ ქალაქიდან არც ერთი კაცი სიზმრად არ მინახავს. მინდა ჩემი 80 წელიც იმ ჩემს ხალხში და ჩემს ქვეყანაში აღვნიშნო.

არ ვიცოდი, თუ რატომ მარწმუნებდა ის საქართველო-სა და ქართველი ხალხის სიყვარულში, რომელიც ეს მე ისე დიდ ძალიან კარგად ვიცოდი.

– მერე რა გიშლით ხელს, ბატონო გურამ, რომ თქვენი დაბადების დღე იქ გადაიხადოთ, სადაც გასურთ.

გაჩერდა. ნაღვლიანად შემოხედა, პირველად ვიგრძენი, რომ ლოშ ფაფარი ჩამოეშალა. ხმა დაუბრბიდა, მოწყენით მითხრა: – ნანასთვის უთქვამთ საელჩოში, გურამის გამგზავრება საქართველოში არ შეიძლება, საზღვარზე იქნებ პრობლემები შეექმნასო.

– ეს როგორ, – შევიცხადე. გურამ მგელაძეს – საქართველოს საზღვარზე პრობლემები? ეს შეუძლებელია.

– შეუძლებელი არაფერია, შესაძლებელია კი ის, რომ მე ჩემს ქვეყანაში არ შემიშვან. და მერე ვინ!

აი რას გთხოვ, გრიშა, მე ვიცი, შენი უკანდაუხვევლობისა და აზრის ხმაელადი გამოთქმის ამბავი. შენ ეს შეგიძლია. მიდი, ვისთანაც გინდა და პრინციპულად მოსთხოვე ჩემი ქვეყანაში შეშვება, თუნდაც დროებით.

სასონარკვეთილებში ჩავვარდი. კაცი მთხოვს დახმარებას ქვეყანაში შესვლაზე, რომელიც ამავე ქვეყნის აქტიური მშენებელი და მოჭირანახულია, კაცი, რომელსაც სათხოვარს სთხოვდა მთელი საქართველო თუ არა, ნახევარი მაინც.

თბილისის აეროპორტში დავეშვი თუ არა, სხვა საფიქრებელი და საზრუნავი არაფერი მქონდა. დავინყე მი-სასვლელი გზების ძებნა. რამდენიმე დღეში შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილისაგან მივიღე პასუხი, რომ გურამ მგელაძეს საზღვარზე არაფერი პრობლემა არ ექნებოდა. სიხარულით ცას ვენიე.

დავინყე იუბილისათვის მოკლე მონახაზის მოფიქრება. ღონისძიების ჩატარების ადგილი: – რუსთაველის დრამატული თეატრი. ფორმა: – პრეზიდენტში, მომსხენებელი, გამომსვლელები, კონცერტი. დასკვნითი საღამო: – ბანკეტი ფუნიკულიორზე 300 კაცი. ჩემი მოსაზრებები პირველად გურამ მგელაძის უახლოეს მეგობარს, ბატონ ოთარ ცინცაძეს გავაცანი. მომიწონა. დავინყეთ სტუმრების სიის შედგენა, რა თქმა უნდა, რთულად, მაგრამ ამ სამუშაოსაც თავი დავადგით.

გვიახლოვდებოდა საიუბილეო თარიღი. ნერვიულობა მატულობს, მაგრამ ეს სასიამოვნო ნერვიულობაა.

ირეკება ზარი. მეუბნებიან, გამოვეცხადდე მინისტრთან დათქმულ დროზე. მეც დაუგვიანებლად ვეახსელი. ბატონმა ვანომ ყველაფერი გამომითხა და მის გულწრფელობასა და მოხმარებაში ოდნავადაც ეჭვი არ შე-



პარვია, რისთვისაც ყოველთვის მადლობელი ვარ მისი, მაგრამ მითხრა: – რა თქმა უნდა, ბატონი გურამი ჩვენი ქვეყნის სიამაყე და დიდი კაცია. თუ არა მან, ვინ უნდა იცხოვროს საქართველოში. ვაითუ ჩემი ავტორიტეტი ვერ ეყოს მის უსაფრთხოებას, ხომ იცი, ჩვენთან ერთი კაცი, ვერც მე და ვერც ის, საბოლოოდ ვერ ვწყვეტთ საკითხს და იქნებ რამე შეიცვალოს და მეც და შენც უხერხულო-ბაში ჩავვარდეთ. თუ გარისკავთ, შემოიყვანეთ, საზღვარზე პრობლემა არ იქნება, მაგრამ შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვერ ავიღებ.

მოვიდიოდი და თან მომქონდა უზარმაზარი ტვირთი ცხოვრების ბედუკუღმართობისა და უპასუხო კითხვები: ნეტავ რატომ? – რა არის მიზეზი? და თითქოს იდუმალი ხმა ჩამძახოდა – „რუსეთი“ – „რუსეთი“.

ასე ვერ გადაუხადა საქართველომ გურამ მგელაძეს თავისი დაბადების 80 წლისთავი.

რა იყო ამის მიზეზი:

ადამიანები გმირები არ ხდებიან. გმირებად იბადებიან. გურამ მგელაძე გმირად იყო დაბადებული. ადრე დაობლებული, ბებიას ამარად დარჩენილი ჯანმრთელი ბავშვი თავიდანვე სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. ბავშვობის წლებს ტოლ-სწორებთან მეგობრობაში და ჩხუბში ატარებდა. შიშდაკარგული მოზარდი მზად იყო ყოველგვარი წინააღმდეგობის გადასალახავად.

თბილისის ქუჩებში გურამ მგელაძე ისე შემოვარდა, როგორც ავმარანყვეტილი ბედაური, მისი ხელების გაშლა და ფეხის მოძრაობა სრულებით არ გავდა ჩვეულებრივი ახალგაზრდის მოძრაობას. მკლავმაგარი, ემოციური, მაგრამ მწყობრი ქუჩური თუ საზოგადოებრივი მეტყველება სულ სხვა შნოსა და ლაზათს აძლევდა მის პიროვნულ მოუხელთებლობას. გარეშე მყოფნი გრძნობდნენ, რომ ის სხვა მასალისაგან იყო შექმნილი. პირველი სარდლობა, რომელიც ყველასგან დამოუკიდებლად თვითონვე მოიპოვა, ქუჩა იყო. მისი არმიაც სწორედ ის ბიჭები იყვნენ, ვინც არც თუ ნეტარი ცხოვრებით გამოატარა უმძიმესი სამაული ომის წლები.

ახალგაზრდობაში ძალზე პოპულარული ყმანვილი კაცი სახელმწიფო სამსახურშიც მიინვიეს და პატარა საქმე ჩააბარეს. მას პატარა საქმე ხელარეწიფების და მანაც პატარა საქმე დიდ საქმედ წარმოაჩინა, რასაც კიდევ დიდი საქმე არაერთი მოჰყვა და ქუჩის პირველი ბიჭი საზოგადოების ნომერ პირველ კაცად გადაიქცა.

40 წლისაც არ იყო, როდესაც აბაშის რაიონის პირველ მდივნად აირჩიეს. თავის თავში ღრმად დარწმუნებული, საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ ძლიერი, მაგრამ, გამოუცდელი კაცი, ვაითუ დაბნეულიყო პარტიულ და სამეურნეო საქმიანობის ჯადოსნურ ლაბირინთებში.

გურამ მგელაძე კოლხეთის მიწაზე სასწაულებების მოსახდენად გაემგზავრა. მის სურვილებსა და ენერგიას

საზღვარი არ უჩანდა. ის თანამედროვე „არგონავტი“ იყო, რომელმაც ნამდვილი ცეცხლის მფრქვეველი ხარებით (ტრაქტორებით), არა ჰეფესტოს გამოჭედილით, არამედ საბჭოთა დამლით დამშვენებული ტექნიკით შეუტია ლაზიკას და მისი სიმდიდრის ანტიკური ხანიდან ცნობილ ანჯელის მინებს.

კოლხეთის ჭაობებში ის, რაც ვერ შექმნა ბუნებამ, ის შექმნა ადამიანმა. დაამარცხა მალარია, დაახევინა ზღვას უკან და მოტაცებულ და დამშრალ მინებზე – სავარდო (ყიზილნიყის ვარდი) და სამაისო აბაშა ააშენა.

– ვინ არის ის, ვინც აბაშას სახელი გაუთქვა? – ხალხი გაამდიდრა, ხალხს ასწავლა და ჩააცვა – გურამ მგელაძე! – გურამ მგელაძე! ეხოს გადასცემენ ერთმანეთს ათწლეულები, რაც დარწმუნებული ვარ, საუკუნეებში გადაინაცვლებს.

აბაშაში ექსპერიმენტი დამთავრებულად ჩაითვალა და იგი შეფასდა, როგორც საზოგადოებრივი განვითარების სრულიად ახალი ფორმა, რომელიც უნდა დაინერგოს ჯერ ერთ რესპუბლიკაში, ხოლო სულ მალე დედამიწის ერთ მეექვსეზე – მთელ საბჭოთა კავშირში. ამიტომაც ისმეს გურამ მგელაძე ქვეყნის მმართველობის სათავეებთან.

90-იანი წლების დიდ ხუთშაბათს ატყდა სწორედ გრდემლზე უროების ცემა და ბენგზე გასანყვეტად მი-სული ჯაჭვის რგოლი, რომელიც ამირანი იყო მიჯაჭვული კავკასიონზე, ისევე გამოელდა და გურამ მგელაძის დიდი ექსპერიმენტიც კოლხეთის ჭაობებში შთაინთქა.

მაშინ, როდესაც ეროვნული მოძრაობის ზოგიერთმა არაეროვნულმა ადამიანმა ქვეყნისადმი თავიანთი მტრული დამოკიდებულებით წითელწყაროს რაიონის ერთ-ერთ უბრწყინვალეს მეურნეს, სოციალისტურ შრომის გამირს ნიკო ყოჩიაშვილს თავისი ქმედებით სიცოცხლე მოუსწრაფა, როდესაც მთლიანად გაანადგურა ლეგენდარული არსენ კობაიძის ოჯახი, კარები აუჭედა გურჯაანში დავით სარიშვილს, ხალხმა, ვინც კარები ჩამოხსნა სახალხო დოვლათს და იგი ქურდებსა და ყაჩაღებს განიავებინა. გაუსაძლისი გახდა ამ უბედურებისა და ქვეყნის ნგრევის შორიდან ყურება.

თუ ნალალატვე გიორგი სააკაძეს ცხოვრებამ ათქმევინა – „ეს ვინ რო ბილიკი სპარსეთისაკენ მიიკლაკნებო“.

გურამ მგელაძესაც, ასევე მოუხდა თქმა: – „ეს დიდი საპაერო ლაინერი მოსკოვისაკენ მიემართება.“ საქართველოს განთავისუფლებისათვის იბრძოდა გურამ მგელაძე, როდესაც თავდაუზოგავად ცდილობდა სამშობლოში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას, რაც ერთპიროვნულად სწორედ გურამ მგელაძემ შეძლო.

ყველა თაობას ადევნებული ედუარდ შევარდნაძე ვერ გახდა გურამ მგელაძისათვის ისეთი მეგობარი და პარტნიორი, როგორც თვითონ გურამი იყო მისთვის. ეროვნული ხელისუფლებისაგან დაშინებულმა „უშოშარმა“ შევარდნაძემ, ვერ გაბედა, რომ გურამ მგელაძეს კვლავ გაეგრძელებინა თავისი დიდი საქვეყნო ექსპერიმენტი და მოსკოვში ჩატოვა.

გურამ მგელაძე ერთიანი საქართველოს შენების ის კუთხის ქვაა, რომელზედაც უნდა გასწორდეს მომავლის რწმენის კედელი.

ბერიზა ონიანი

როგორ მზადდება სორცპროდუქტები სახარტიველოში?

მთავარი მაღალი ხარისხის ნედლეული და ზუსტი ტექნოლოგიური პროცესი

სოსისი, სარძეული, ძხვენი – მანამ, სანამ ეს ხორცპროდუქტები სანარმოდან სარეალიზაციო ქსელში მოხვდება, საკმაოდ რთული და სკურულოზურად დაგეგმილი პროცესია გასავლელი. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა მათი დამზადების ტექნოლოგიას ენიჭება. ამ მხრივ უდიდესი ტრადიცია გერმანიას აქვს. ხორცის დამზადების კულტურა სწორედ ამ ქვეყნიდან მოდის. საუკუნეების წინათ, სახლის პირობებში პრიმიტიულად დამზადებული წარმოება, დღესდღეობით 1500 სახეობის ძხვეულს მოიცავს, რომლებიც თავისი გემოთი და ხარისხით მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

გერმანიაში ხორცპროდუქტების დამზადების სტანდარტები უმაღლეს დონეზეა აყვანილი. სანარმოო პროცესი, ნედლეულისა თუ სანელებლების შერჩევა მკაცრად კონტროლდება და მალაზიებში მოხვედრამდე ძალიან ბევრ შემთხვევაში შეესაბამება, უმაღლესი ხარისხის ძხვეული ყოველთვის გერმანულ ხორცპროდუქტებთან ასოცირდება. ძხვეულის ფართო ასორტიმენტია წარმოდგენილი საქართველოშიც, თუმცა მათი დამზადების ტექნოლოგია და ხარისხი მომხმარებელში მაინც გარკვეულ კითხვებს იწვევს.

არის თუ არა საქართველოში ხორცპროდუქტების დამზადების სტანდარტები მიახლოებულია ევროპულთან, რა ნედლეულს იყენებენ სანარმოო პროცესში, რა გზას გადიან ისინი სარეალიზაციო ქსელში მოხვედრამდე – ამ და სხვა კითხვებით ხედავს ხორცპროდუქტების ტექნოლოგს ნანა პერტენავას ესაუბრა, რომელიც 16 წელია კომპანია „ნიკორაში“ მუშაობს. მანამდე კი შესაბამისი განათლება ბერლინში, ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტში მიიღო და პრაქტიკაც გერმანიაში გაიარა.

ნანა პერტენავა: გერმანელებს ხორცპროდუქტების მხრივ ძალიან დიდი და დახვეწილი ასორტიმენტი აქვთ. გერმანული ხარისხის პროდუქცია მსოფლიოში ცნობილია და ეს ეხება არა მარტო ხორცპროდუქტებს. ხარისხი ამ ქვეყნის საეკონომიკო ბაზარზეა. შესაბამისად, ძალიან მაღალი ხარისხის ნედლეული აქვთ. ცხოველი სწორად გაზრდილია, სწორად ნაკვები, ასევე სწორად ხდება მისი დაცვა. შეიძლება ვილაგას სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ თუ ცხოველმა დაკვლის წინ სტრესი მიიღო, შეეშინდა, ამ შემთხვევაში ხორცი ისეთი ხარისხის არ იქნება, როგორც უნდა იყოს. თუ ცხოველი არასწორად დაიკვლება, ჩნდება სისხლჩაქცევები და ეს ყველაფერი ამ ხორცის შენახვის ვადებსა და მის ხარისხზე ძალიან ცუდად აისახება. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის გაზრდას, საკვებს, დაკვლის წესს. როდესაც კარგი, მაღალი ხარისხის ნედლეული გაქვს, შესაბამისად, პროდუქციაც მაღალი ხარისხის გამოდის.



მაქვს, როგორ მზადდება იქ სანელებლები – ხდება შესყიდვა ცალკეული ინგრედიენტის, ლაბორატორიულად მონმდება მათი ხარისხი და მზადდება სანალებლების ნარევი, რომლებიც გამოიყენება ძხვის წარმოებაში. შემდეგ ხდება მათი შეფუთვა და სხვადასხვა ქვეყნებში გაგზავნა.

რა მდგომარეობაა საქართველოში, როგორ მზადდება ხორცპროდუქტები, როგორი ნედლეული გამოიყენება, სად ხდება მისი შექმნა და რამდენად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, „ნიკორა“ მაგალითზე რომ გვითხროს...

მუდმივად ვცდილობ, განვიხილო ცოდნა და ყოველწლიურად 2-3-ჯერ აუცილებლად მაგზავნიან ნამყვან კომპანიებში გერმანიაში, ავსტრიაში, რამდენჯერმე ჩეხეთშიც ვიყავი. ვეცნობი იმ სიახლეებს, რომელიც აქვთ ამ კომპანიებს. მათი წარმომადგენლები ჩამოდიან საქართველოში და დამატებით გვანვლიან ინფორმაციას. მაქსიმალურად ვცდილობ, ყველაზე ხარისხიანი ნედლეული შევისყიდოთ. ჩვენ ვიყენებთ უმაღლესი, პირველი კატეგორიის ხორცს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფასი ძალიან მაღალია. ჩვენი პრიორიტეტი მაღალი ხარისხია.

რაც შეეხება ნედლეულს, ჩვენ გვყავს მომწოდებლები, რომლებიც გვანვლიან მაღალი ხარისხის ბრაზილიურ და ევროპულ პროდუქციას. ეს არის ქარხნები, რომლებსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, მსოფლიო ბრენდებს წარმოადგენენ და მათი პროდუქციის შეტანა ნებადართულია აშშ-სა და ევროპის ბაზრებზე. ასევე ვიყენებთ უკრაინულ და ქართულ უმაღლესი ხარისხის, პირველი კატეგორიის ხორცს. შემდეგ ყველა პარტიას აუცილებლად ვამონმებთ, და მხოლოდ ამის შემდეგ ვუშვებთ წარმოებაში. წარმოების პროცესში მაქსიმალურად ხდება სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვა. ჩვენი სანარმოო ალტურვილია გერმანული და ავსტრიული დანადგარებით. დამზადების პროცესში სისტემატურად მიმდინარეობს პროდუქციის ლაბორატორიული და შერჩევის მიკრობიოლოგიური კონტროლი. ყველა პროდუქტი გვაქვს დაცული. დანამატების მხრივაც ვიყენებთ მხოლოდ იმას, რაც ევროპაშია დაშვებული. ჩვენი პროდუქცია ხარისხით ყოველთვის გამოირჩეოდა და დღესაც ბაზარზე ამ ნიშას ვინარჩუნებთ.

ხორცპროდუქტებში დელიკატესად მოიაზრება ნედლად შებოლილი პროდუქცია. საქართველოში „ნიკორა“ აღნიშნული პროდუქტის წარმოების პიონერია. 5-6 წლის წინათ ამ კატეგორიის ძხვეული საქართველოში მხოლოდ იმპორტით შემოდიოდა. ნედლად შებოლილი პროდუქტის დამზადება ხანგრძლივი პროცესია. ძხვეული მიიღება ბუნებრივი ფერმენტაციის გზით, რაც მოითხოვს უმაღლესი ხარისხის ნედლეულს. პროდუქტის მისაღებად საჭიროა, დაახლოებით, 1 თვე-40 დღე. პროდუქტს ისეთივე მოვლა სჭირდება, როგორც პატარა ბავშვს. ოდნავ თუ რაღაც დაარღვევ და არასწორი მიმართულებით წახვედი, შესაბამის შედეგს ვერ მიიღებ.

ნედლად შებოლილი ძხვეულის წარმოებისას კლასიკურ, ევროპულ მეთოდს ვიყენებთ. ნედლეულის განთავსება ხდება სპეციალურ გარემოში, სადაც შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმი და ტენიანობა მკაცრად არის დაცული და ბუნებრივად შრება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. გერმანულ სტუმარს, გავასინჯე ჩვენი პროდუქტები და ძალიან კმაყოფილი დარჩა. ისიც კი თქვა: რომ არ გათქვა აქ თქვენთან, საქართველოშია დამზადებული, ჩავთვლიდი, რომ გერმანული პროდუქტი მივირთვიო.

შესაძლებელია თუ არა ვიზუალურად ხარისხიანი პროდუქტის უხარისხოსგან გარჩევა და რა უნდა გაეთვალისწინოთ ძხვეულის შერჩევისას?

ვიზუალურად ამის გარჩევა მარტივი არ არის, კარგ სპეციალისტსაც გაუჭირდება, მაგრამ არის მცირე ნიშანები, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ. ხარისხიანი ძხვეული უნდა იყოს ბუნებრივი შეფერილობის, მშრალი ზედაპირით, არ უნდა ჰქონდეს მკვეთრი საღებავის ფერი და არ უნდა იყოს დაობებული. თუ ძხვეული მუქი ფერისაა, შეშხმარი ზედაპირით, ლორწოვანი გარსით, აქვს არასასიამოვნო მომავო სუნი, ეს პროდუქტის სიძველეზე მეტყველებს. პროდუქტის ზედაპირზე არ უნდა ჰქონდეს ობის ნერტილები, ზოგიერთი სახეობის გარდა (ნედლად შებოლილი ობიანი ძხვეული). უნდა წავიკითხოთ აუცილებლად ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაცია, შეამადგენლობა, კვებითი ღირებულება და შენახვის პირობები.

ნათია რუხაძე

სწავლი ლარი

წინა პუბლიკაციაში შარშან ნოემბრიდან მოყოლებული დოლარის მიმართ ლარის კურსის უპრეცედენტო ვარდნის პროცესის ზოგიერთ მიზეზზე გვქონდა ლაპარაკი, მათ შორის საგარეო მიზეზები ცალკე გამოვყავით. ეს იმ გარემოებამ განაპირობა, რომ, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდგომი ნეგატიური პროცესების გამო, მრავალი ქვეყანა, მათ შორის ისეთი, სადაც საქართველოს ლეგალურ თუ არალეგალურ მიგრანტთა რიცხოვნობა საკმაოდ მაღალია და იქიდან სოლიდური სავალუტო სახსრები შემოდის, დიდ სიძნელეებს განიცდის.

სწორედ ამის გამოა, რომ ამ ქვეყნებში საშუალო ადგილები მცირდება, მომუშავეთა ყოველთვიური გასამრჯელო კი იკლებს, თანაც საიმპორტო კანონმდებლობა და საბანკო მომსახურების ზოგიერთი ასპექტი მკაცრდება. ყოველივე ამის შედეგად ამ ქვეყნიდან საქართველოში კერძო ფულადი გზავნილების ნაკადმა ბოლო ნახევარ წელზე მეტი ხნის მანძილზე საგრძობლად იკლო. არადა, უცხოეთიდან კერძო ფულად გზავნილებს საქართველოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან წინა წლებში ყოველთვიურად ეს თანხა ლამის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტოლი იყო. ცალკეული ოჯახებისთვის კი უცხოეთიდან მიღებული ფული ხომ შემოსავლის ერთადერთი საიმედო წყაროა!

თმის გამო, რომ საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვის პროცესი ჯერჯერობით დაუსრულებელია, ზუსტი სტატისტიკა არ მოგვეპოება, თუმცა კი მეტ-ნაკლები მიახლოებით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში დღესდღეობით 3,7-

შაბი „ბროშეების თვლისა“

3,9 მილიონი მოსახლეა. სხვადასხვა შეფასებით, სადღესობა საზღვარგარეთის ქვეყნებში 1,5-დან 2 მილიონამდე ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. ზუსტი რიცხვების დადგენა, რამდენიმე მიზეზითაა შეუძლებელი: ერთი მათგანი ისაა, რომ ბევრმა მოქალაქეობა შეიცვალა და საერთო სტატისტიკურ მონაცემებში ამის გამო ვერ ხვდება, თუმცა კი მთავარი მიზეზი ისაა, რომ მრავალი მათგანი უცხოეთში არალეგალურად იმყოფება. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაცემები, ამჟამად საზღვარგარეთ საქართველოს დაახლოებით მილიონ 608 ათასი კაცი ცხოვრობს. ყველაზე მეტი ჩვენი თანამემამულე – 800 ათას კაცზე მეტი – რუსეთშია, მათგან უმეტესი ნაწილი შრომითი მიგრანტია. რიცხოვნობის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეთა ოდენობით, უწინარესად, აღსანიშნავია საბერძნეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, უკრაინა, თურქეთი, ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ კერძო ფულადი გზავნილები სწორედ ამ ქვეყნებიდან მოდის, რასაც სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურისა და ეროვნული ბანკის მონაცემები მოწმობს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რუსეთისა და უკრაინის დარად, მრავალი ჩვენი თანამემამულე სამხრეთ ევროპის ქვეყნებში – ესპანეთში, იტალიაში, თურქეთსა და საბერძნეთში ცხოვრობს. ამ ქვეყნებში, თითო-

ულში ცალკეულ მიზეზთა გამო, სავალუტო კრიზისია, რაც შრომით მიგრანტთა შემოსავალზეც აისახება. ეს ხალხი, მეტწილად, რომ იტყვიან, „საშოგარეა ნასული“, მათი კვალიფიკაცია საკმაოდ დაბალია, ამიტომაც უმრავლესობა, მცირე გამოწვევების გარდა, მომსახურების სფეროშია დასაქმებული – ისინი ძიძებად, შინამოსამსახურებებად, მიმტანებად, დამხმარე მუშებად მუშაობენ. ფინანსურ კრიზისამდე ისინი წლების მანძილზე საკმაოდ კარგ გასამრჯელოს იღებდნენ, თუმცა კი ამჟამად მათი შემოსავალი, ფაქტობრივად, განახევრებულია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, შემცირდა იმ დახმარების ოდენობაც, რომელსაც ისინი საქართველოში თავიანთ ახლობლებს უწევენ. ყოველივე ამას კერძო ფულადი გზავნილების შემოდინების სტატისტიკა მოწმობს: შარშან ნოემბერში საზღვარგარეთიდან ჩარიცხული თანხების მთლიანი ოდენობა წლიურ 16,2 პროცენტით, დეკემბერში კი დაახლოებით 25 პროცენტით შემცირდა. იგივე მაჩვენებელია 2015 წლის დამდეგიდან.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფინანსურ კრიზისს დასასრული ჯერაც არ უჩანს, ზოგიერთ ქვეყანაში კი ხელისუფლებამ არალეგალური მიგრანტთა მიმართ გარკვეული შემზღუდავი ზომების გატარება დაიწყო. კერძოდ, საბერძნეთის ეროვნულმა ბანკმა არალეგალი მიგრანტებისგან ფულად გზავნილებს საერთოდ

აკრძალა, რაც, ბუნებრივია, იქიდან ფულის შემოდინებას უკიდურესად შეზღუდავს და, ზოგადად, ვალუტის მიღებას დიდად შეამცირებს – საბერძნეთი ხომ იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, სადაც უამრავი ჩვენი თანამოქალაქეა ამჟამად სამუშაოდ წასული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლარის გამყარების ამ წყაროს იმედი მთავრობას, როგორც ჩანს, ნაკლებად უნდა ჰქონდეს. ამდენად, ახლო მომავალში დოლართან მიმართებაში ლარის კურსის მატების პერსპექტივები კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება. ეს კი, თავის მხრივ, მოსახლეობის მანამდეც არასახარბილო სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე ძალიან ცუდად აისახება.

უკვე ამჟამად, ლარის გაუფასურების შედეგად, ისედაც საკმაოდ მისტიკური 870 ლარი საშუალო ხელფასი ახლა 370 დოლარს შეადგენს, რაც დევალვაციამდე თითქმის 100 დოლარით მეტი იყო. ჩვენი სატირალი 150-ლარიანი პენსია სულაც 21 დოლარით „გახდა“ და ახლა კიდევ უფრო გასაცოდავებულ 64 ლარს შეადგენს. ისიც ნუ დავგავიწყდება, რომ ეს პენსია ჩვენში იმ „ზღაპრული“ საშუალო ხელფასის მხოლოდ 17 პროცენტს შეადგენს...

კვების პროდუქტების, მედიკამენტების, მომსახურების, საბანკო სესხებისა და ა. შ. გაძვირების პირობებში და ამ პროცესის გაჩერების უპერსპექტივობის გათვალისწინებით, რომ იტყვიან, დღეინადაც „გროშების თვლა“ ახლა იმათაც უწევთ, ვინც ამას მანამდე მხოლოდ დროდადრო აკეთებდა.

ოთარ აბრამია

სველი ზურგავი



შუაგავლის მსხვერპლი, როგორც თურქეთში დასაქმება სურთ

ზაფხულის სეზონის დადგომასთან ერთად, თურქეთში სამუშაოს საძიებლად სულ უფრო მეტი ადამიანი მიდის დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ კი აჭარადან. აღნიშნული ტენდენცია ბოლო რამდენიმე წელიწადი განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც თურქეთში გადასვლა ID ბარათებითაც გახდა შესაძლებელი.

„შუაგავლები ქართველები არიან, როგორც დიდ ნაწილს ახსორები გაუფრთხილები აქვს, მაინც იქ იყავით“

დაცამ ხომ უნდა წაგიყვანოს. გამოდის, გლეხის ნამუშევარს შუამავლები ქართველები არიან, რომელთა დიდ ნაწილს პასპორტი გაფუჭებული აქვს და მაინც იქ არიან. სანამ გასდით, ჩვენსაირების მოტყუებით აკეთებენ ფულს. გეუბნება, რომ გეყენება კარგი ხელფასი, მაგალითად 800-900 დოლარი, პირველი თვის ნამუშევარს თვითონ გართმევენ და მერე იკარგებიან. ტელეფონსაც თიშავენ. მეორე თვიდან რამდენს გადაგიხდის და მასაქმებელი, აღარ აინტერესებს. მე ერთმა ქალმა წამიყვანა, სულ ათი კაცი ვიყავით და მოგვატყუა. ძალიან ცუდ დღეში ჩაგვყარა. ჩაგვიყვანა სტამბოლში ერთი ავტობუსი ხალხი, ფული გამოგვართვა და დაიკარგა“ - აღნიშნა გიგამი, რომელიც ბოლო სამი წელი სტამბოლში ხალიჩების სამრეცხაოში მუშაობდა.

ID ბარათებით თურქეთში საქართველოს მოქალაქეს 180-დღიან პერიოდში მხოლოდ 90 დღით დარჩენა შეუძლია. აღნიშნული ვადით სარგებლობენ დაუსაქმებელი ადამიანები და ზაფხულის პერიოდში, სეზონური სამუშაოების დაწყებამდე ერთად, თურქეთში გადადიან. მათი დიდი ნაწილი ჩაისა და თხილის პლანტაციებში და ხეხილის ბაღებში სამუშაოდ მიდის. სხვა სეზონზე კი თურქეთში ქართველები ძირითადად ქარხნებში, ფაბრიკებში, მომვლელებად მუშაობენ.

თურქეთში დროებით სამუშაოზე დასაქმებულთა დიდი ნაწილი თურქი დამსაქმებლების მიერ არასამართლიან მოპყრობასა და დამცირებაზე საუბრობს.

„სამი თვე ვიყავი სტამბოლთან ახლოს ტანსაცმლის ქარხანაში, სადაც ტანსაცმლის დაკეცვა მევალებოდა. იყო დამცირების შემთხვევები. უფროსები თავზე გვედგნენ და გვიყვიროდნენ. მიზეზი გველვასი გადაგვიყვანეს, თურქებს უფრო მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ. გარდა ამისა, თურქს რომ რამე დაეშავებინა, უფროსი ჩვენ გვეჩხუბებოდა. ძალიან გვამცირებდნენ. ქართველ ქალს იქ წასვლას არ ვურჩევ, სულ მშვიდი რომ დავრჩე, იქ აღარ წავალ“, - ამბობს 37 წლის ინეზა.

„ქართველებს სხვა თვალთ, ზემოდან უყურებენ. იქ ჩასულს ისე გიყურებენ, როგორც უპატრონოს. სულ მეკითხებოდნენ დედ-მამა თუ გყავს და სახლი თუ გაქვსო. პატარა საქართველო გეგონება სტამბოლი. ათასში ერთია რომ გაუმართლოს და ნორმალური ანაზღაურება ჰქონდეს. თუ ციხეში მოხვდი, საშინელი პირობებია და თუ საქართველომ არ მოითხოვა შენი გადაცემა, იქნები იქ“, - აღნიშნა ხუბთან საუბრისას 26 წლის გიგამი.

თურქეთში დასაქმების მსურველ ქართველებს სამუშაოს პოვნაში ენ შუამავლები ეხმარებიან. შუამავლები ქართველები არიან, რომლებიც გარკვეული თანხის სანაცვლოდ დასაქმების მსურველს სამსახურს აწყებინებენ. თუმცა, თურქეთში დასაქმების მიზნით წასვლათა დიდი ნაწილი ამბობს, რომ ისინი შუამავლების მოტყუების მსხვერპლი არაერთხელ გამხდარან.

„ყველაზე დიდი პრობლემა შუამავლები არიან. ეგენი რომ არ იყვნენ, უფრო კარგი იქნებოდა ყველაფერი. მაგრამ სხვა გზა არაა. აქედან პირველად რომ მიდისარ, ვი-

დაცამ ხომ უნდა წაგიყვანოს. გამოდის, გლეხის ნამუშევარს შუამავლები ქართველები არიან, რომელთა დიდ ნაწილს პასპორტი გაფუჭებული აქვს და მაინც იქ არიან. სანამ გასდით, ჩვენსაირების მოტყუებით აკეთებენ ფულს. გეუბნება, რომ გეყენება კარგი ხელფასი, მაგალითად 800-900 დოლარი, პირველი თვის ნამუშევარს თვითონ გართმევენ და მერე იკარგებიან. ტელეფონსაც თიშავენ. მეორე თვიდან რამდენს გადაგიხდის და მასაქმებელი, აღარ აინტერესებს. მე ერთმა ქალმა წამიყვანა, სულ ათი კაცი ვიყავით და მოგვატყუა. ძალიან ცუდ დღეში ჩაგვყარა. ჩაგვიყვანა სტამბოლში ერთი ავტობუსი ხალხი, ფული გამოგვართვა და დაიკარგა“ - აღნიშნა გიგამი, რომელიც ბოლო სამი წელი სტამბოლში ხალიჩების სამრეცხაოში მუშაობდა.

მსგავსი ფაქტების შეგროვებაზე მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ანტიკორუფციული კავშირი“. ორგანიზაციის მონიტორინგის სამსახური თურქეთში უკვე ათ წელზე მეტია, აკვირდება თურქეთში სამუშაოდ წასული ქართველების მდგომარეობას.

„აქ ჯგუფები მუშაობენ, რომლებსაც გადაჰყავს ეს ადამიანები ერთმანეთს და თხილის საკრეფად, ან ქარხანაში მალაზღაურებად სამუშაოზე. თუმცა, ეს ტყუილია. ჩვენ ოთხკაციანი ჯგუფი გავაგზავნეთ თურქეთში ხელისუფლების ფაბრიკაში სამუშაოდ და მათ ხელფასები არ მისცეს. ძალიან ცუდი ფორმით იკვეთება თურქული მხრიდან ჩვენს მოქალაქეებზე ზეწოლა“, - აღნიშნა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გია ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, თურქეთში ქარხნებში მომუშავე ქართველებს მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა. ხშირ შემთხვევაში, არ არის დატყუი უსაფრთხოების ზომები.

იმისათვის, რომ საქართველოს მოქალაქე თურქეთში იმუშაოს ლეგალურად, მას სამუშაო ვიზა სჭირდება. თურქეთის საელჩოს ინფორმაციით, სამუშაო ვიზაზე განაცხადის გაკეთების მომდევნო სამუშაო დღეს მოქალაქეს ეძლევა სპეციალური ნომერი. აღნიშნული ნომრის საფუძველზე დამსაქმებელმა 10 სამუშაო დღის მანძილზე უნდა მიმართოს თურქეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს. განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მსურველს სამუშაო ნებართვის ბარათი გადაეცემა.

საქართველოში თურქეთის საელჩოს მონაცემებით, 2013 წელს სულ 1 558 სამუშაო ვიზა გაიცა, 2014 წელს კი 1 685, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმების მიზნით თურქეთში ქართველების უმრავლესობა სამუშაო ვიზის აღების გარეშე მიდის, ვინაიდან, არაოფიციალური მონაცემებით, მათი რიცხვი თურქეთში გაცილებით დიდია.

თამაზა ჯიჯავაძე

კანონმდებლობა

სამამულო მხარეების მხარდასაჭერად

საბაზრო ეკონომიკის უპირველესი ნიშანი და ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა ეკონომიკის განვითარებაში მუდამ უკომპრომიზობით, ხშირად არცთუ სამართლიანი და კანონიერი მეთოდების გამოყენებით მიმდინარეობს. კანონგარეშე სრიკებს შორის, რომლებსაც თავისუფალი ბაზრის მოთამაშეები არცთუ იშვიათად ერთმანეთის მიმართ იყენებენ, გარკვეულ საქონელზე თუ მომსახურებაზე რაღაც დროის მანძილზე დემონგური ფასების პოლიტიკაა. მიზანი სავსებით ნათელია და პროზაული: დროის რაღაც მონაკვეთში ბაზარზე საქონლის თუ მომსახურების კონკურენტზე დაბალ, ხშირად თავის საზარალო ფასად მიწოდება, რის შედეგად ისიც ზარალზე გადას, თუმცა კი, შეზღუდული ფინანსური თუ მატერიალური რესურსების პირობებში, ამ უთანაბრო ბრძოლაში მარცხდება. შედეგად, გამარჯვებული მალე ბაზრის მონაპოლისტი, მისი ბატონ-პატრონი ხდება, მიღებულ ზარალსაც ინაზღაურებს და დიდ მოგებაზეც გადას.

დემონგის საკითხი საბაზრო ეკონომიკის იმდენად მნიშვნელოვანი სფეროა, რომ ყველა ქვეყანაში მას საგანგებო კანონმდებლობა აწესრიგებს. თუმცა კი, ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა ასპექტში, საქართველოში თავისუფალი ბაზრის ეს მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი დღემდე გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ამ მიმართულებით ინტენსიური კანონშემოქმედებითი მუშაობა კარგა ხანია მიმდინარეობს.

რამდენადაც ცნობილია, ამჟამად შეზარაბისი საკანონმდებლო რეგულაციის შემოღებასთან დაკავშირებული მუშაობა დასასრულს უახლოვდება. დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანტიდემონგური კანონმდებლობის განხილვას საქართველოს პარლამენტი წლევანდელი საგაზაფხულო სესიის დამთავრებამდე დაასრულებს. ამის თაობაზე თავად პარლამენტარები, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრები აცხადებენ. ამავე დროს ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ახალ კანონში აუარება ნიუანსია განსახილველი, რაც მრავალ სხვა საკანონმდებლო აქტში შეზარაბისი ცვლილებების შეტანას საჭიროებს, რასაც აჩქარება არანაირად არ მოუხდება. სირთულეების მიუხედავად, პარლამენტში ანტიდემონგური კანონის ამოქმედებას ზაფხულიდან იმედოვნებენ.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყანაში ანტიდემონგური კანონმდებლობის ამოქმედება და, რაც მთავარია, მისი სხვა საკანონმდებლო აქტებთან სრული შესაბამისობის და არსებულ რეალიტეტთან შეწყვილების მიღწევა, ბევრი განმარტება საჭირო არ არის. თუ როგორი ზიანი მი-

აყენა გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ხანაში, დემონგური პოლიტიკამ ეკონომიკას, ამას თუნდაც სამამულო სოფლის მეურნეობის უმრავლესობა დარგის სადღესო სავალალო მდგომარეობა მოწმობს. იმ დროს ქვეყნის შიდა ბაზარი იწონებდა უცხოური, ძირითადად, ირანიდან და თურქეთიდან შემოტანილი, შემთხვევათა უმრავლესობაში, საკმაოდ დაბალხარისხიანი პროდუქციით, რომელიც ადგილობრივზე გაცილებით იაფად იყიდებოდა. შედეგად, ჩვენმა გლეხობამ და აქა-იქ სულთამბრძოლმა კოოპერატივებმა კონკურენტის ამ უსინდისო ხრიკს ვერ გაუძლეს და საქონლის წარმოება შეწყვიტეს. კონკურენტის გაცემტვერების შემდეგ კი უხარისხო პროდუქციის იმპორტირებმა ფასებს აუნის, მიღებული დანაკარგი აინაზღაურეს და ამჟამად „მოგების კუპონებს“, „პარსავენ“ ბაზარს, უფრო სწორად კი მომხმარებელს, ანუ თითოეულ ჩვენგანს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სავსებით ცხადია, რომ ანტიდემონგური კანონის მთავარი მიზანია ბაზრის მოთამაშეებს შორის მოქმედების სამართლიანი წესების დადგენა, შედარებით სუსტის ძლიერებისგან მაქსიმალურად დაცვა.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებადი ხასიათიდან გამომდინარე, რაც იმაში გამოიხატება, რომ სამამულო საწარმოები თავიანთი ალტურვილობით და პროდუქციის წარმოების პროცესით ნაკლებად პასუხობენ თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებს, ჩვენში პროდუქციის წარმოება უცხოური ფაბრიკების, ვიდრე მონივრე ქვეყნებში მათი ანალოგებისა. ამის გათვალისწინებით, ადგილობრივ მენარმეთა უსინდისო იმპორტიორთაგან დასაცავად, და უცხოური პროდუქციის ადგილობრივით ჩასანაცვლებლად, ანტიდემონგური კანონმდებლობის შემოღება ქვეყანაში აუცილებელია, თანაც საკითხისადმი მიდგომა კომპლექსური უნდა იყოს, რასაც, რამდენადაც ცნობილია, კანონმდებლები ითვალისწინებენ კიდევ. მთავარი, ცხადია, დემონგური ფასებზე მკაცრი კონტროლის დაწესებაა ეროვნული ეკონომიკის უკლებლივ ყველა დარგში, რაზეც ზრუნვა დღენიადაგაა საჭირო.

ვერჯერობით საბოლოო სახით ჩამოყალიბებულ კანონზე მსჯელობა ბუნებრივია, შეუძლებელია, მაგრამ ისევე, როგორც ყველა მნიშვნელოვან თუ შედარებით „მეორეხარისხოვან“ საკანონმდებლო აქტს, მასაც აუცილებლად დაცვა სჭირდება. სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო, დემონგური ფასების მიღმა ეკონომიკურად მძლავრი ძალები დგანან, რომელთა გამლავება, მრავალ ფაქტორული გათვალისწინებით, არც თუ მარტივი საქმეა.

ნიკო ალექსანდრიანი

გამოფენა

მოზრკანდით, დააგეგმონ...

ლვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მე-8 საერთაშორისო გამოფენა - WinExpo Georgia 2015 გაიხსნა 5 ივნისს საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში.

ლვინის სამამულო მწარმოებლებთან ერთად მასში მონაწილეობს გერმანიის, უკრაინის, პორტუგალიის, მოლდოვას, იტალიის დაახლოებით ასზე მეტი კომპანია. ძირითადი პროდუქცია ღვინოა, წარმომადგენელია ასევე ალკოჰოლიანი სასმელები, აგრეთვე შესაფუთი მასალების, მანქანა-დანადგარების, გადამამუშავებელი ხანუების, მინის ტარის, საცობების. კომპანიების პროდუქცია, მსურველებს სადისკრიბუციო ფირმების შეთა-



ვაზეებით გაცნობის შესაძლებლობაც აქვთ.

ლვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენის საზეიმო გახსნას დაეწინაურა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი თარ დანელია, სხვა ოფიციალური პირები

გამოფენა 7 ივნისამდე გასტანს. ვრცელ მასალას WinExpo Georgia 2015-ის შესახებ გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

საპუტარი ინფორმაცია

ცხოვრებას წლებით კი არა, ღვესებით ემატები!

ღმერთმა კიდევ დიდხანს გაგალოგოს ჩვენი სამოქალაქო სიყვარული და შენი ხალხისთვის

ღმერთი დანათლული ნიჭი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ულოცავენ გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარეს, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის, საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიების ლაურეატს, დინსების ორდენის კავალერს, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიისა და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრს, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, დინსეულ მამულიშვილს, კოლეგასა და მეგობარს გენო კალანდიას დაბადებიდან 75 წლისთავს.

გენო კალანდიას პოეზია ქართული პოეტური ნიჭის კიდევ ერთი მრჩინალე გაეღვივება და იგი დინსეულად ამგვენებს ეროვნული კლასიკური მწერლობის უმთავრეს საგანძურს. გენო კალანდიას შემოქმედება, მისი პოეტური ქმნილებები მარადიულ ღირებულებებზე ფიქრის, მათზე მუდმივი ზრუნვის ჭეშმარიტი ნიმუშია. ღრმა ფილოსოფიური წიადსვლეში, უნაზესი ლირიკა, ლექსის მუსიკალური ჟღერადობა ერთ მთლიან მხატვრულ ქმნილებად არის შეკრული და ლოგიკურად განაპირობებს საყოველთაო ინტენსივსა და სიყვარულს.

ბატონი გენოს მიერ გაწეული ცხოვრების გზა მისაბაძი მაგალითია საკუთარი ხალხისა და ქვეყნისათვის უანგარო და თავდადებული მსახურებისა. პოეტმა ეს ყოველივე აფხაზეთის ომის ქართველების დროს და, საერთოდ, მთელი თავისი ცხოვრებისეული გზით დაადასტურა.

გვწახს და გვჯერა, რომ ბატონი გენო ღვთით დანათლული ნიჭი და უშრეტი ენერჯია კვლავაც ნაყოფიერი იქნება და მდლიერი მკითხველი კიდევ ბევრ პოეტურ მარგალიტს ეზიარება.

აფხაზეთის საზოგადოება სამართლიანად ამაყობს, რომ მისი თანამემამულის გენო კალანდიას სახელი დიდი ხანია გასცდა აფხაზეთის ფარგლებს და დინსეული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს ჭეშმარიტ მამულიშვილთა სახელოვან გალერეაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

მნამს, სოხუმი სპარტიკოლს სდღებრკოლს დავლავთ!

მუ ჩემს გამოცდილებას ენდობი, სიმბრე ჯერ შორია, ჯერ მხოლოდ იმ სამყაროში შეაბიჯე, სადაც ყოველდღიურობის ქაოსში ჩაკარგული, უფრო მეტიც – გაუცხოებული ჩვენივე პიროვნება სრული და ნამდვილი სახით გვიმჩნევდა.

სიმართლე გითხრა, სიტყვა „სიმბრე“ შენმა „საგალობლებმა“ გამახსენა, რომელიც მთელი შენი ცხოვრების შემკრებ, მინიატიურული, უფრო ზუსტად – პოეტურ ასლად წარმომიდგინა და რომელიც თითქოს მშვიდი და წყნარი ტკივილითაა სავსე.

უნებურად იფიქრებ – მორჩილად თავდახრილი, მაგრამ უკიდურესად დამაბული ადამიანი უფლის განაჩენს ელოდებო. ეს მეტაფორა შენი „საგალობლებით“ არის შთაგონებული, შენ მიერ ბოლო სიმშვიდის მონატრებას ესიტყვება.

დამერწმუნე, ვერც ერთ სხვა ასაკში ვერ იგრძნობ ისე მძაფრად შენი არსებობის აუცილებლობას დღევანდელ სამყაროში. ეს კი არა მარტო იმიტომ, არამედ გარდაუვალი სიმართლის ნუგეშის, რწმენის, რომ ბევრისთვის და ბევრისთვის ჯერ კიდევ აუცილებელია შენი არსებობა, ჯერ სადა ხარ, ჯერ უამრავი საქმე გელოდება.


ჩვენ ცხოვრებას წლებით კი არა, ღვესებით ვემატებით, რომლებსაც სიცოცხლის ჭიდან ამოტანილ „მარგალიტებით“ დავითვალის... მგზავნი უღაბნობი, მეომარი – მრძოლის ველზე და რომლითაც განიზანება ახალშობილი – ახალი სიცოცხლე! განა ამას არ გვახსენებს მეგრულ სიმღერასავით იდუმალი სევდის ნაპერწკლით განათებული შენი ლირიკა!

გილოცავ საიუბილეო თარიღს. მწამს, მე და შენ სოხუმში, სანაპიროზე, რუსთაველის ძეგლთან საქართველოს სადღეგრძელოს დავლევთ!

თამაზ ჭილაძე.

რამდელი ზნაოზის მესიხოვნა

პოეზიის ღვთაებრივი მადლით ცხებულ კაცს, „ღონიანი, ღვედიანი, კვეთიანი“ სიტყვის შემოქმედს, ქართული მწერლური პარანასის სიამაყეს, შოთა რუსთაველისა და სხვა არაერთი სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ბატონ



გენო კალანდიას ველოცავთ 75 წლის იუბილეს და ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს გუსურვებთ.

ამ მილოცვის ხელმომწერი – არც ჩვენი მახვილი ოთარ ფაცაცია, არც უმაღლო დასტაქარი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი – ანზორ ხუბურია და არც მე, – თქვენი მონა-მორჩილი, მონდო ჯიქია, ლიტერატურისმცოდნე არა ვართ და, მუნებრძივია, გენო კალანდიას პოეტური შემოქმედების სიღრმისეული შეფასება არ ძალგვიძს, მაგრამ ერთ რამეში ვთანხმდებით: ჭეშმარიტი პოეტის ლექსების კითხვისას ტანში ჟრუანტელი უნდა გივლიდეს, გონი უნდა გინათდებოდეს. ასეთი განცდა გვეუფლება, როცა გენო კალანდიას პოეზიას ვეცნობით, როცა მის ნატივ და ძარღვიან სტრიქონებს ვკითხულობთ, როცა მისი საგალობლების სახით უზენაესთან პოეტის საუბარს ვუსმენთ. უდავოა, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში გენო კალანდიამ კარგა ხანია, დაიმკვიდრა თავისი გამორჩეული ადგილი, ადგილი, რომელიც მისი მშობლიური კუთხის – სამეგრელოს – ღრმად ქართულ ნიადაგს ეყრდნობა, მის ფესვებზე ამოზრდილი და სრულიად საქართველოს სიყვარულითაა გაჯერებული.

გამორჩეულად დგას გენო კალანდია, როგორც საზოგადო მოღვაწე, რომელსაც ქვეყნისთვის უმძიმეს წლებში მოუწია ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში აქტიურად ჩართვა. განსაკუთრებულია გენო კალანდიას დამოკიდებულება აფხაზეთთან, რომელიც მისი პიროვნული ტრაგიზმის საფუძველია საფუძველია. სწორედ ამ ტრაგიზმმა განაპირობა აფხაზეთის თემში შექმნილი მისი სულის შემძვრელი პოეზიის ღვთაებრივი ძალა. იგი პიროვნულად და შემოქმედებითაც ქართულ-აფხაზეთი მეგობრული ურთიერთობის სიმბოლოა. ამის დასტურია პოეტის მოღვაწეობა აფხაზეთშიც და დევნილობაშიც. დარწმუნებული ვართ, რომ მას, როგორც აფხაზეთის ლიტერატურის კლასიკოსებად აღიარებული მწერლის – მაგრამ მინუებს, ივანე თარმასა და სხვათა, თანამედროვე აფხაზ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა მეგობარს, რომლისთვისაც თანაზრად ძვირფასია ქართველთა და აფხაზთა კეთილდღეობა, კვლავაც ბევრი რამ შეუძლია ამ ორ ხალხს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის საქმეში.

დე, მრავალჟამიერ იდგეს ჩვენს შორის ასაკმოყრილი, მაგრამ ჭაბუკივით ენერგიული, ვალმოხდილი, მაგრამ დღესაც დაუდგრომლად მოღვაწე, ქართულ-აფხაზეთის სინდის-ნამუსის, რაინდული მორალის მეციხოვნე გენო კალანდია, კაცი – „სიტყვასაქმანი და საქმესიტყვანი“.

ოთარ ფაცაცია, ანზორ ხუბურია, გონდო ჯიქია.

კასი - მოყვანი

მე, მართლა აფხაზი, ბატონ გენო კალანდიასავით აფხაზეთიდან, ოღონდ ნებაყოფლობით დევნილი კაცი, ვწერ, რომ იმ დღიდან, რაც მე „გედის სიმღერის“ ავტორს, რომელიც დაიმეტდა ჟურნალებში „ჭოროხი“, „რიწა“, „ცისკარი“, „საერთო გაზეთი“, წილად მხვდა შედინარება, 2014 წლის შემოდგომაზე გავცნობოდი გენო კალანდიას.

იმ დროიდან დღემდე, როცა საკუთარ თავზე, როგორც, დიხაყ რომ, ნებაყოფლობით დევნილზე ვსაუბრობ, რომელმაც სამუდამოდ დატოვა თავისი „მცირე სამშობლო“, აფხაზეთი, და ამჟამად, უკვე, როგორც ბათუმის მკვიდრს, ვიმედოვნებ, არცთუ ძნელად გასაგებია, მისატყვევებელი „ტრაბახობით“, ამა თუ იმ შემთხვევაში, მიწვევს ხოლმე „ჩემი თბილისელი მეგობრების“ ხსენება, უპირველესად, რა თქმა უნდა, გენო კალანდია მყავს (მუდამ!) მხედველობაში.

საკმარისია ითქვას, თუ არა მისი მუდმივი მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, დღეს მე არ მექნებოდა შენარჩუნებული არც ფიზიკური შესაძლებლობა და არც ღირსება, რამდენიმე სიტყვით გამომხატა მისდამი პატივისცემა ყოველივე იმისთვის, რაც მან გააკეთა აჭარაში ჩემს მიერ გატარებული უმძიმესი თვეების შესამსუქებლად.

ძვირფასო გენო! ნება მიმოძე, გულწრფელად გისურვო ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წარმატებები.

და არც ამაოდ თქმულა სწორედ ქართველთაგან – „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“ ჭეშმარიტად!

ალექსი თარია, მწერალი

გენო კალანდიას

ხარ სულნათელი, ძმისთვის მუდამ ხმაღმემართული, შენი ღვესები ლაყვარლოვან ცათა ფერია... შენ ხარ პოეტი, გულმხურვალე, ციდან მართული, ამიტომ შენს ღვესს დავიწყება არ უწერია!

თამაზ სვანიძე
სოფ. სვერი. 4.05.2015.

როგორც კოლხური როგორც სიმი

ძმონფასო! გენო! გილოცავ ამ სახელოვან იუბილეს. ვლოცავ ჩვენი მეგობრობისა და ძმობის წყაროს, რომელიც ავერნახავარ საუკუნეზე მეტა მოედინება. მოედინება ხან მშვიდი და უწყინარი, ხანაც აფორიაქებული ზღვის სანაპიროდან; მარად ამღვრეულ, წყალმარჩხ, მაგრამ ჩვენთვის მაინც სანატრელ ჩაღმაზე გადებული „წითელი“ და „თეთრი“ ხიდების გადასახედიდან; მაგნოლიების სურნელით გამრეული მშობლიური სოხუმის მწვანეში ჩაფლული ქუჩებიდან; მთის კორტოხზე მართლაც ბუდესავით მიკრული სხლის აივნიდან, სადაც შენ პირველად დაიდე შინა თვრამეტოდე წლის ყმაწვილმა.

ვლოცავ შენს დაუშრეტელ ენერჯიას, სიყვარულს, თანადგომის ნიჭს, ყოველი კეთილი და მამულიშვილური საქმის მოთავეობის ნიჭს, დღემდე რომ შეგჩა.

ვლოცავ შენს პოეტურ მადლობისილებას. ეს არის ერთი ის სისხლსავსე ძარღვი, რომელიც კვებავს მთავარ არტერიას, ქართული პოეზია რომ შქვია. შენ მას ამგვენებ შენი საკუთარი, ყველასგან გამორჩეული ხმით, ახალ-ახალი მიგნებებით, აღმოჩენებით... შეგახსენებ – ერთ პოეტს უთქვამს მეორეზე: მრჩინვალედ ფლობდა ღვესს, მაგრამ შემოქმედების საიდუმლოს ვერ მიაგნო... აი, შენ მიაგენი ამ საიდუმლოს, თითქოს სინდბადის ლაპით შეაღწე განძეულის საუფლოში და აკიდებული ხურჯინით ახალ-ახალ აღმართებს აპყრობ.

ვლოცავ შენი ოჯახის ცის კაბადონს, რომელმაც დიდი ვანსკვლავები მრჩინავენ თავიანთი თანავანსკვლავდებობით. ღმერთმა ნუ მოგიშალს მათი მრჩინვალეობა! ღმერთმა ნუ მოუშალს შენი თავი საქართველოს!..

მამაუფლისგან შენდობას ითხოვ ბევრი ძვირფასი განძის მფლობელი, ჩამყვანის შენი ყოველი სიტყვა და ღვესი, როგორც საგალობელი.

მშობლიური მზის მათრობს სიმღერა, ვგრძნობ სურნელს მზისით მოსული წვიმის, შენი სტრიქონი თრთის და ირხევა, როგორც კოლხური ჩონგურის სიმი.

მურმან ხურცილაკა



„სიქსტის კაპელა“ - პროვინციაში „ჩაქარბული“ შეღავატი

ბენინალურმა იტალიელმა ფერმწერმა რაფაელ სანტიმ დედა რვა წლისამ, ხოლო მხატვარი მამა 11 წლის ასაკში დაკარგა. ამის მიუხედავად, 17 წლის წაბუყმა უკვე უზადლო ოსტატის სახელი მოიხვეჭა.

20 წლის რაფაელი ტოლს აღარავის უდებდა, ათ წელიწადში კი უკვე „სიქსტის მადონა“ შექმნა. ახლა ეს შედევრი უკვე 500 წლისაა, თუმცა კი, სამი საუკუნის მანძილზე მის შესახებ არავინ არ იცოდა. ბენედიქტელი ბერების მიერ შეკვეთილი ტილო ქალაქ პიჩინეცაში წმინდა სიქსტის მთავარ საკურთხეველს ამშვენებდა. როცა საქსონელმა კურფურსტი ავგუსტ III თავისი სურათების გალერეის შევსებას შეუდგა, რაფაელის ნამუშევართა შექმნის თაობაზე ორი წლის განმავლობაში მოლაპარაკებებს აწარმოებდა. იმ სურათების შექმნა, რომლებიც რომში ინახებოდა და, ამდენად, უფრო ფასეული იყო, მან, მართალია, ვერ შეძლო, სამაგიეროდ, პროვინციაში ჩაქარბული „სიქსტის მადონას“ ყიდვა მოახერხა, რომელიც 1754 წელს დრეზდენში გადაიტანეს. თუმცა კი, მსოფლიო დიდებს ეს შედევრი კიდევ ნახევარი საუკუნე ელოდა.

პროფესორ დოქტორის ნაპაღვსე?

რუსეთში ვალერი სპირიდონოვა, 30 წლის ვლადიმირელმა პროგრამისტმა, რომელიც მძიმე გენეტიკური დაავადებითა დასწავლული, თანხმობა განაცხადა იტალიელ ნეიროქირურგს... თავის გადარჩევის ოპერაცია გააკეთებინოს!

თუ ეს მართლაც უნიკალური ქირურგიული ექსპერიმენტი განხორციელდა, რუსეთელი მსოფლიოში პირველი ადამიანი გახდება, რომლის თავს დაღუპული დონორის ტანს გადაუნერგავენ.

ამასთან დაკავშირებით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ნერვული მოქმედების ინსტიტუტის დირექტორი პავლე ბალაბანი აცხადებს, რომ მექანიკურად სხეულზე თავის მიკერება ტექნიკურად ურთულესი, მაგრამ მაინც გადასაჭრელი ამოცანაა. შესაძლოა, სისხლის მიმოქცევის აღდგენა, პირიდან ფილტვების ვენტილაცია, უცხო ქსოვილთა მიუღებლობის დათრგუნვა და ა. შ. მაგრამ დღესდღეობით არ არსებობს ზურგის ტვინის ფუნქციების თუნდაც ნაწილობრივ აღდგენის ტექნოლოგიები მას შემდეგ, რაც თავის ტვინთან მისი კავშირები გადაჭრილი იქნება! მსოფლიოში უამრავი პაციენტი, რომლებსაც კავშირი ქალა ტვინსა და ზურგის ტვინს შორის ნაწილობრივ, ან მთლიანად აქვს დაკარგული, ამდენად, ამ კავშირების აღდგენის ტექნოლოგიები რომ არსებობდეს, ადამიანებს დახმარებას აღმოუჩენდნენ.

როგორც ჩანს, ეს ნაშრომები უფრო პიარ-სვლას თუ პროპაგანდისტულ ხრიკს ჰგავს, რომლის მიზანია გამოკვლევების გასაგრძელებლად საჭირო დაფინანსების მიღება.

„გონიერი“ მპარსველები

ნაწახსნი, ხორცის გასაქნელი დანით, უროთი და სამურაის ხმლით შეიარაღებული ოთხი მძარცველი(?!), მანჩესტერის (ინგლისი) გარეუბანში მალაზიაში შეიჭრა და ბანკომატის გატაცება... ინვასტორების თანდასწრებით სცადა!

თუმცა, ის კია, რომ დანაშაულის ადგილის დატოვება მათ მალევე მოუხდათ ისე, რომ იქიდან ერთი პენსიცი ვერ წაიღეს. რამდენიმე კვარტალის მოშორებით მათ წინა დღით მოპარული ავტომანქანის დაგდება მოუწიათ და გაურკვეველი მიმართულებით მიიძალნენ. თუმცა კი, წინასწარ თითების ანაბეჭდნაშლილი „იარაღი“ მათ მანქანაში დატოვეს, რომელიც ამჟამად ქურდობის უჩვეულო იარაღთა მუზეუმში ინახება.

„სიხოსხლის ფანჯრის“ იქნაღ მინს...

რუსეთის ქალაქ ოზნისში კატამ... ორი თვის ჩვილი სიკვდილს გადაარჩინა, რომელიც დედამისმა სანაგვესთან დააგდო.

გამკვლელთა ყურადღება კატამ გაუთავებელი კნავილით მიიპყრო. ამჟამად პატარას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მის „დედას“ კი სამართალდამცავები ეძებენ.

სოციალური პროექტის „იმედის აკვის“ ხელმძღვანელი

ნელის ელენა კოტოვას თქმით, ყოველთვის რუსეთში დედები 16-23 ჩვილს კლავენ. ამ საშინელ ნაბიჯს ქალები ოჯახური კონფლიქტების, ბავშვის მოვლის შესაძლებლობის უქონლობის, მარტოობის შიშის მიზეზით დგამენ. მაგრამ განა ყოველივე ეს მკვლელობას ამართლებს? ხომ შეიძლება ანონიმურად მშობიარობა, ჩვილის სახელმწიფოს სამეურვეოდ დატოვება, ანდა, სულაც, პატარას ეგრეთ წოდებულ „ბები-ბოქსში“ მოთავსება? საგულისხმოა, რომ რუსეთში მოქმედ 21 ასეთ „სიცოცხლის ფანჯრის“ წყალობით უკვე რამდენიმე ათეული ბავშვი გადარჩა.


თოვლის კაცის კვიანა

ჩრდილოეთი კავკასიაში, კერძოდ, ადიღეთში ვიდუოზე... თოვლის კაცი გადაიღეს.

იეტი, როგორც თოვლის კაცი უწოდებენ, ადიღეთში, ადრეც უნახავთ. იქ საკმაოდ დიდი ტერიტორიები, ფაქტობრივად, დაუსახლებელია. მაგალითად, ლაგონაკის ზეგანზე ყინულის საფარზე 50 სანტიმეტრის იეტის ფეხის კვალი უნახავთ. ადგილობრივ მამულთა აზრით, თოვლის კაცი ერთ-ერთ შორეულ ხევეში ცხოვრობს, თანაც მარტო კი არა, არამედ მთელ ჯგუფთნ ერთად. იმ ადგილებში ადამიანები არ სახლობენ, ტყე-ში ბევრი კენკრა და სოკოა, მთის მდინარეები სავსეა თევზით, ნადირიც ბლომად არის. ამდენ ხანს შეუმწვევლად დარჩენას კი თოვლის კაცი იმიტომ ახერხებს, რომ ადამიანებს გაცილებით ადრე ამჩნევს და იმალება.

მთავარი, რამეს გულით განიცდილო...

ხანძრულში ძილის, ანუ ანაბიოზის თემა, ფანტასტიკურ ლიტერატურაში საკმაოდ პოპულარულია — საკმარისია, გავისხენოთ ჰერბერტ უელსის რომანი „გონების ძილი“, რომელშიც გმირი 200 წლით იძინებს, ანდა ირვინგ ვაშინგტონის ნოველა „რიბ ვან ვინკლი“, სადაც პერსონაჟი გაუგებრად 20 წელი სძინავს. მაგრამ ყველაფერი ეს ფანტასტიკაა, სინამდვილეში კი როგორაა საქმე? რამდენად შესწევს ადამიანს საკუთარი თავის დამორჩილების უნარი? 1904 წელს გამოვიდა შვეიცარიელი ეთნოგრაფის ოსკარ შტოლის ნიგნი „ჰიპნოზი და შთაგონება ხალხების



ფსიქოლოგიაში“. მასში 1837 წელს სიქჰურ ქალაქ ლაჰორში მომხდარი ამბავია აღწერილი: იოგ ჰარიდას ექვსი კვირის განმავლობაში გაუღვიძებლად ეძინა და ამ ამბის მოწმე ინგლისელი მაიორი კლოდ უაიდი და იქაური მაჰარაჯა რუნჯიტ სინჰქი შემდეგ ყვებოდნენ, რომ ჰარიდას პატარა სათავსოში, ვერტიკალურად დადგმულ ხის ყუთში ეძინა. სათავსოს გუშაგები იცავდნენ, ოთახიც და თავად ყუთიც ბეჭდებით იყო დალუქული. იოგი ყუთიდან რომ ამოიყვანეს, მის ტანზე შემოსველი სელის ქსოვილი გაურკვეველი წარმოშობის ობით იყო დაფარული, თავად ჰარიდას კი არც გული უძგერდა, არც სუნთქვა ჰქონდა. ხანგრძლივი აღდგენითი პროცედურების შემდეგ იოგმა ჯერ ერთი თვალა გაახილა, მერე მეორე, მაიორ უაიდი შეხედა და ჰკითხა: „ახლაც არ გჯერათ ჩემი?“

მეცნიერება ამ მოვლენის გაანალიზება სცადეს და დაადგინეს, რომ იოგების მსგავსად ძილის მაგვარ მდგომარეობაში შესვლას ზოგიერთი ევროპელიც ახერხებს, მაგრამ მათსა და აზიელებს შორის ის განსხვავებაა, რომ ისინი სუნთქვის შეკავებას მაინც ვერ ახერხებდნენ, ისინი მხოლოდ გულისცემას ანელებდნენ. ამერიკელმა ფილოსოფოსმა და ფსიქოლოგმა უილიამ ჯეიმსმა და დანიელმა ფიზიოლოგმა კარლ ლანცემ თეორია წამოაყენეს, რომლის თანახმად, საქმე განცდებსა და მათ გამოვლენას შორის კავშირშია: როცა რაღაცას თვალნათლივ წარმოიდგენთ, სიხარული იქნება ეს თუ გაბრაზება, განცდაც და შინაგანი მდგომარეობაც ამის შესაბამისი დაგეუფლებათ.

აბა, ილრუტუნე „კაპ-კაპ!“

ბრიტანელმა ემილი ქეისმა და მისმა მეგობარმა დასტინ გრაციოტიმ, დასაკლავად განწირული სიმპათიური გოჭის გადარჩენა გადაწყვიტეს და ის გამოისყიდეს.

წყვილმა გოჭი ვილი შინ მიიყვანა და ძაღლებთან მიუჩინა ადგილი. ვილი ძაღლებს ჯუნგისა და პარტოს ისე „დაუმკაცდა“, რომ... მათ მიბაძვაც კი დაიწყო! მოკლე დროში ვილიმ სადავეთი სიარული, ასევე მარტივი განკარგულებების შესრულება ისწავლა: „დაჯექის“ რომ ეტყოდნენ, ჯდებოდა, „წყალი დალიეს“ თუ უბრძანებდნენ, წინა ფეხებს ჯამში ჩაყოფდა, თან სვამ-

და, თან ირგვლივ ყველაფერს „ეშმაკურად“ წუნავდა. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ვილიმ... ყეფაც სცადა! მართალია, ყეფა მას ჯერჯერობით მაინცდამაინც არ გამოხდის, მაგრამ ის ჯერ მხოლოდ ერთი წლიაა, ამდენად, ვინ ცის...

თიკვი, ზაითუნის ზაითი, ახალი სილ-ბოსტნეული...

მკვლევარებმა 18-დან 85 წლის ასაკამდე 2500 მოხალის რაციონი შეისწავლეს.

ბერძენმა მეცნიერებმა დასკვნა გამოიტანეს, რომ კვეზის ზოგიერთი პროდუქტი გულს ფიზიკურ დატვირთვაზე უკეთ იცავს. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც ყოველდღე თევზს, ზეითუნის ზეთს, ახალ ბოსტნეულსა და ხილს მოიხმარს, გულის დაავადებათა რისკი 47 პროცენტით უმცირდება.

მისტარ უოკერის „უოკუსაი“

ფარმაცევტი ჯონ უოკერი, რომელიც პოპულარული ავთიპაის მეპატრონე იყო, ხალხში თავისი ბოტანიკით გატაცებით ცნობილი კაცი იყო, რომელსაც ასევე მინერალოგია და ქიმიური ცდები აინტერესებდა.

სწორედ ქიმიით გატაცების შედეგი იყო, რომ ერთხელ, როცა იგი სანადირო მუხტების ადვილად აალებადი ნარევის დამზადებას ცდილობდა, შემთხვევით... ასანთი შექმნა. მან ხის ლეროს მინებულში მისი განმეხდა სცადა, რომლითაც ახალგამოგონილ შენაერთს ურევდა, მაგრამ, როცა ის ქვაზე ძლიერად გაუსვა, ლერო ააღდა!

მერე კარგა ხნის მანძილზე უოკერი ამ „ფოკუსით“ თავის მეგობრებს ართობდა, მაგრამ, მართლაც რომ ნაღდი ფოკუსი ისაა, რომ თავისი აღმოჩენის დაპატენტება მას არც უფიქრია!..

ჭიკაპული ზაზუნა

ამერიკის ვისკონსინის ერთ-ერთი პატარა ქალაქის მერის ჯონათან ფროინდის მცდელობა საკუთარი წინასწარმეტყველი გაეჩინა, წარუმატებლად დასრულდა.

წესისამებრ, ზაზუნა მერის ყურთან მიიტანეს, რათა მას „მოესმინა“, ნახა თუ არა ცხოველმა საკუთარი ჩრდილი. არსებული ტრადიციით, თუკი ზამთრის ძილის შემდეგ ზაზუნა თავის ჩრდილს დაინახავს, გაზაფხული უკვე დამდგარია, ხოლო თუ ვერა, მაშინ ზამთარი კიდევ რამდენიმე კვირას გაგრძელდება. მაგრამ, სამწუხაროდ, „პასუხის ცაცემის“ მაგივრად, ზაზუნა მერს ყურში ეცა და ბიბილო მოაჭამა, დამკვირვებლებმა მომხდარის შემდეგ განაცხადეს, რომ „ზამთარი კიდევ ექვს კვირას გაგრძელდებოდა“, რაც ასრულდა კიდევ.


სახსოვრებლად... მარსზე

ორი წლის წინათ პოლანდიელმა ტექნიკოსმა ბას ლანსდრომმა... მარსის კოლონიზაციის პროექტი წამოიწყო. იგი სხვადასხვა ქვეყნიდან თორმეტ-თორმეტი მოხალისე მამაკაცისა და ქალის შერჩევას აპირებს, ვინც 2024 წელს ნიუ-ტელ პლანეტაზე გაფრინდება. ამ მცირერიცხოვანი ჯგუფის მიზანი მარსის კვლევა, დასახლება და იქ ცხოვრების, რომ იტყვიან, „წულიდან“ დაწყება იქნება. ყველაზე საგულისხმო კი ისაა, რომ დედამიწაზე დაბრუნების შანსი მოხალისეებს არ ექნებათ — კაცობრიობა მათ თვალ-ყურს ტელეკავშირით მიადევნებს.

მარსზე გაფრენის სურვილი 200 ათასმა კაცმა გამოთქვა, რომელთაგანაც ორი შესარჩევი ტურის შემდეგ მხოლოდ ასი კანდიდატი დარჩა. ერთი მიმართულებით კოსმოსურ მოგზაურობაში ასტრონავტებს სიცოცხლის უზრუნველყოფის სადგური წაიყვანს, რომელიც პირველ ხანებში საკმარისი საკვებით იქნება დატვირთული, თანაც ჟანგბადისა და წყლის გამოშვებების სისტემებით იქნება აღჭურვილი. შემდგომში კი კოლონიზატორები ბოსტნეულს სპეციალურ ბოქსებში მოიყვანენ, შინაური ცხოველების გამრავლების პირობები კი მარსზე არ იქნება.

ცნობილია, რომ წითელ პლანეტაზე რადიაციის მაღალი დონეა. მისგან თავის დასაცავად საცხოვრებელ კავსულებს ზემოდან მარსულ გრუნტს დააყრიან: მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მარსზე ცხოვრებას ადამიანები 60 წელს შეძლებენ.

გვერდი მოამზადა დალი სუნდაძემ



რადი

ერთ ღრეს აყვავებული ღარბი დღეს სულს ღაფავს

იმპორტირებულ ჩაის გემო და არომატი არა აქვს იმიტომ, რომ ეს ქველი, საღებავებით გაქმნილი პროდუქტია

სულ რაღაც 25-30 წლის წინათ ჩაის მრეწველობა საქართველოში ძალიან მაღალ დონეზე იდგა, ხოლო ქართული ჩაი მთელ საბჭოთა სივრცეში იყო ცნობილი. გაცივდა ხანი, საბჭოთა კავშირი დაიშალა და ჩვენებურმა ჩაიმ გასაღების ბაზრები დაკარგა. ჩაის წარმოებასაც აზრი დაეკარგა, ამიტომ მოსახლეობამ ერთ დროს სასარგებლო მცენარის ამოძირკვა და მის ნაცვლად სხვა კულტურების, ყველაზე ხშირად, თხილის გაშენება დაიწყო. როგორც დარგის სპეციალისტები ამბობენ, ეს სერიოზული შეცდომაა, რადგან ჩაი სტაბილური კულტურაა, მისი ფასი მსოფლიო ბაზარზე არ მერყეობს მაშინ, როცა თხილის ფასს თურქეთი ადგენს: თუ ამ ქვეყანაში კარგი მოსავალი იქნება, ჩვენთან თხილის ფასი იკლებს, ხოლო თუ ცუდი — მაშინ იმატებს. ამასთან, თხილის გახარება წითელმინა ნიდაგებზე, პრაქტიკულად, შეუძლებელია ნიდაგის მაღალი მუყავინობის გამო.

„ნიდაგის საფუძვლიანი ანალიზის გარეშე ჩაის ამოძირკვა და მის ადგილას სხვა კულტურის დარგვა ხშირად ზარალის მომტანი“ — გვითხრა საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა თენგიზ სვანიძემ, რომელიც მიიჩნევს, რომ ერთ დროს აყვავებული ჩაის მრეწველობა ახლა სულს ღაფავს.

„ამ დარგის ნგრევა 1990-იან წლებში დაიწყო, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირი დაიშა-

ლა. ქართული ჩაით ძირითადად ყოფილ საბჭოთა სივრცეს ვამარაგებდით, რადგან ჩვენი მოსახლეობა ჩაის ძალზე მცირე რაოდენობით მოიხმარს. საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს წელიწადში მაქსიმუმ 1200 ტონა ჩაიც ჰყოფნის, რაც იმის ბრალია, რომ ჩვენთან ჩაის სმის ტრადიცია არ არის, განსხვავებით მეზობელი აზერბაიჯანის მოსახლეობისაგან, რომელიც დიდი რაოდენობით ჩაის მოიხმარს — აზერბაიჯანელებს წელიწადში საშუალოდ 17 ათასი ტონა ჩაი სჭირდებათ. ასე რომ, ქართულმა ჩაიმ გასაღების ბაზარი დაკარგა, მასზე მოთხოვნა შემცირდა და წარმოებაც გაჩერდა. მერე დაიწყო სამოქალაქო ომი, არეულობა, ჩაის ფაბრიკები დაიშალა და თუ რაიმე რკინა და მოწყობილობა იყო, ყველაფერი დაჭრეს და უცხოეთში გაიტანეს. ჩაის პლანტაციებში გავრცელდა და დარგაც განადგურდა“, — აღნიშნა თენგიზ სვანიძემ.

მისივე თქმით, თუ ადრე 100 ათას ტონა მზა პროდუქციას ვანარმოვდით, ახლა მხოლოდ 2 ათას ტონას ვანარმოვებთ. ესე იგი, წარმოება 50-ჯერ შემცირდა. ადრე ჩაის პლანტაციები 67 ათას ჰექტარზე იყო გაშენებული, ახლა კი, მათგან დაახლოებით 18 ათას ჰექტარია დარჩენილი.

თენგიზ სვანიძე: „ამ 18 ათასი ჰექტრიდან, პრაქტიკულად, გავრცელებული, ამოსაძირკვი და მოსაშორებელია თითქმის 8 ათასი ჰექტარი. 10 ათასი ჰექტარი კი, ასე თუ ისე პერსპექტიუ-

ლია. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების ნებას. თუ სპეციალური სახელმწიფო პროგრამა არ შემუშავდა, ჩაის წარმოება საქართველოში სულს ღაფავს და ამ დარგის აღდგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მართალია, დღესაც არსებობს მცირე ოჯახური საწარმოები, რომლებიც 100-200 კგ, ზოგჯერ 1 ტონამდე ჩაის აწარმოებენ, ასევე გვაქვს მიკროფაბრიკები და მინიფაბრიკები, რომლებიც ძალიან ხარისხიან ჩაის უშვებენ, მაგრამ ცოტას. მსხვილი საწარმოები კი, შეიძლება ითქვას, თითზე ჩამოსათვლელია. უცხოური ბაზარი თითქმის დაკარგული გვაქვს, ჩვენი ჩაი ძალიან მცირე პარტიებით გადის ყოფილ საბჭოთა სივრცეში და აღმოსავლეთ ევროპაში. მონღოლეთის ბაზარზეც შეგვაქვს ენ. აგურა ჩაი. შიდა ბაზარზე კი მხოლოდ 20% გვიჭირავს, დანარჩენი 80% იმპორტირებულ ჩაის უკავია“.

თენგიზ სვანიძის აზრით, იმპორტირებულ ჩაის კონკურენციას ვერ ვუწვევთ იმიტომ, რომ ის დემპინგურ ფასებში შემოაქვთ: „ეს არის ძველი ჩაი, რომელშიც არომატიზატორები, ხელოვნური საღებავები და ემულგატორები ჭარბობს. ქართული ჩაი უცხოურს ფასით ვერ უწევს კონკურენციას, თორემ ხარისხით ბევრად სჯობს. ჩვენი ჩაის თვითღირებულება ძვირი ჯდება იმიტომ, რომ ხარისხიანი და ნატურალურია, ხოლო უცხოეთიდან რა შემოდის, კაცმა არ იცის. იმპორტირებულ ჩაის არომატი არა აქვს იმიტომ, რომ ეს ძველი,



საღებავებით გაქმნილი პროდუქტია“.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო და ბიზნესმენებიც ჩაერევიან, შეიძლება 6-7 ათასი ჰექტარი ჩაის აღდგენა მოხერხდეს, ამ პლანტაციებიდან მოკრეფილი ჩაის ფოთოლი გადაამუშავდეს და დაახლოებით 5 ათასი ტონა პროდუქტია მივიღოთ. ამჟამად მეტს ვერ მოვახერხებთ. სხვათა შორის, შემუშავებულია ჩაის წარმოების განვითარების სტრატეგია, რომელიც უკვე სოფლის მეურნეობის სამინისტროშია. მინისტროთარ დანეღიას განცხადებით, ეს პროექტი უნდა განხორციელდეს. იმედია, ეს სიტყვები მხოლოდ სიტყვებად არ დარჩება.

დასავლეთ საქართველოში ჩაის მრეწველობის აღდგენის იმედს არ კარგავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსი გიორგი ხარაბაძე, რომელმაც hpn.ge-სთან საუბრისას განაცხადა: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში პლანტაციები 9600 ჰექტარზე იყო გაშენებული და ჩაის მრეწველობა ყვაოდა. ეს კულტურა უზარმაზარ შემოსავალს იძლეოდა. მოსახლეობა დასაქმებული იყო, სისტემა აწყობილი და ჩვენს პრო-

დუქციაზე მოთხოვნაც მაღალი იყო. ამჟამად იმ ფართობებიდან მხოლოდ 1500-2000 ჰექტარია დარჩენილი. ჩვენი ნიშა რუსეთსა და შუა აზიაში თურქეთში და სხვა ქვეყნებში დაიკავეს. 1990-იანი წლების განუკითხაობამ მოიტანა ის, რომ დარგი ერთიანად განადგურდა. გაცილებით იაფი და იოლია იმპორტული ჩაის შემოტანა, რომლის ხარისხიც ძალიან საეჭვოა. მისი გაყიდვა ჩვენს ჩაისთან კუპაყით ძალიან იაფი უჯდებათ ჩვენს ბიზნესმენებს, ვიდრე აქ ჩაის ფოთლის წარმოება, ამიტომ სუფთა ქართული ჩაის წილი ჩვენს ბაზარზეც კი მინიმალურია“.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის წარმოების აღდგენას მოსახლეობის დასაქმებისთვისაც. ადრე ეს დარგი ლამის მთელ დასავლეთ საქართველოს ინახავდა, ახლა კი, ჩვენი მუშახელი თურქეთში გადის და იქ ქმნის დოვლათს. როდესაც ევროდენებათ, რომ სამუშაო აქაც ექნებათ, უცხო ქვეყნებში აღარ წავლენ. ამიტომ, ჩაის წარმოების აღდგენას მართლ ეკონომიკური კი არა, მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც აქვს ჩვენი ქვეყნისთვის“, — ამბობს გიორგი ხარაბაძე.

საბუხარა ჩიბოგიძე

თანამედროვე სოფელი

„თანამედროვე სოფლის მეურნეობა საქართველოს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში ეხმარება“ — ამ სათაურით აქვეყნებს ევროკავშირის ოფიციალური ვებგვერდი სტატიას გაეროს განვითარების პროგრამის შესახებ, რომელიც საქართველოში მცირე ფერმერებს და მათი საქმიანობის ხელშეწყობას ეხმარება. „მარწყვის მოყვანა ჩვენს სოფელში სიახლე იყო. ხალხი ეჭვის თვალით უყურებდა ამას, როდესაც დავიწყეთ. თუმცა, ახლა როგორც ხედავთ, ჩვენი მიწები ყვავის, ხალხი უფრო მეტად დაინტერესებულია, მიჰყვანს ჩვენს მაგალიტს“, — ამბობს ერთ-ერთი ფერმერი თენგიზ მიქელაძე, რომელსაც აჭარის მაღალმთიანი რეგიონის სოფელ ბუთურაულში მცირე პლანტაცია აქვს.

სტატიის მიხედვით, მიქელაძის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მას შემდეგ უფრო განვითარდა, რაც იგი აჭარაში იმ 6 000 ფერმერს შორის მოხვდა, რომელიც ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამის ფარგლებში კონსულტაციებით სარგებლობს. აღნიშნული პროგრამა 2013 წლიდან მოქმედებს და მის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის აყვავება, საკვების წარმოების გაზრდა და სოფლად სიღარიბის აღმოფხვრა.



მოგაპვლის ფერმერები

500 მილიონზე მეტი აპროპალი მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ქვეყანამ არაერთი ვალდებულება უნდა შეასრულოს

ევროკავშირის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით საქართველოს ფერმერობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. თუმცა, ამ ეტაპზე პროდუქციის 80 პროცენტის იმპორტირება ხდება, ხოლო სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 10 პროცენტს არ აღემატება. სტატიის ავტორის თქმით, მსგავსი მონაცემები განსაკუთრებით უცნაურია, ვინაიდან მოსახლეობის 40 პროცენტი სოფლად ცხოვრობს.

„მცირე ნაკვეთები, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, ბაზართან სუსტი კავშირი, უნარებისა და ცოდნის ნაკლებობა და თანამედროვე ტექნიკაზე მიუწვდომლობა, წარმატებული ფერმერული საქმიანობისთვის გამონგვევს წარმოადგენს“, — აღნიშნულია სტატიაში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მსოფლიოს მასშტაბით მიღებული პრაქტიკაა, ევროკავშირში მსხვილი და მცირე ფერმერების უმრავლესობა მინიმუმ ერთი კოოპერატივის წევრები მაინც არიან. კოოპერატივები დასაქმების ახალ შესაძლებლობებს წარმოშობს და ხელს უწყობს პროდუქციის რეალიზაციისა და ექსპორტის პოტენციალის ზრდას. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ 2013 წელს საქართველოში მიიღეს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან საგადასახადო

შეღავათებს უწევს ფერმერებს. კანონის მიღებიდან ორ წელიწადში, საქართველოში დარეგისტრირდა 870 ახალი კოოპერატივი, მათგან 41 აჭარაში ENPARD-ის ფარგლებში.

„მოსავალი და გაყიდვები ყველა ფერმერის მიზანია. ამ მხრივ საკონსულტაციო მომსახურება, ანუ ექსტენცია სასოფლო-სამეურნეო ჯაჭვის ის რგოლია, რომელსაც შეუძლია, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს მცირე ფერმერებს. სწორ შემთხვევაში, ფერმერთა წარუმატებლობა სოფლის მეურნეობის თანამედროვე ბაზარზე სწორედ ინფორმაციისა და განათლების სიმცირითაა განპირობებული“, — აღნიშნულია სტატიაში.

სტატიის მიხედვით, აჭარის აგროსერვის ცენტრი სწორედ ასეთი საინფორმაციო ხილია. ცენტრი დაარსდა ENPARD-ის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამისა და აჭარის მთავრობის ხელშეწყობით და ამჯერად უკვე ხუთ ფილიალს ითვლის. ფერმერები აქ იღებენ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის ახალი მეთოდების, ფინანსური და სხვა რესურსების მართვის შესახებ. ცენტრის მეშვეობით ასევე შესაძლებელია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და ნადაგარებით სარგებლობა, ინოვაციური მეთოდების გაცნობა სადემონსტრაციო ნაკვეთებზე.

„გვაქვს სანერგე და სათბურები, სადაც ვაშენებთ მანდარინის, ლიმონის, ყურძნის, მოცვის ახალ ჯიშებს ჩინეთიდან, იაპონიიდან, თურქეთიდან და საბერძნეთიდან. კოოპერატივები სარგებლობენ ჩვენი ტექნიკით, მაგალითად, ჰიდროპონიკით მწვანე ბალახის წარმოებისათვის, თაფლის დაფასობის დანადგარებითა და ცოცხალი თევზის გადამზადებით“, — ამბობს გოჩა ბერიძე, აგროსერვის ცენტრის ხელმძღვანელი.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულებებზე ხელმოწერის შემდეგ, ქართულ პროდუქტს გზა ეხსნება 28 ევროპული სახელმწიფოს ერთიან შიდა ბაზარზე. თუმცა, 500 მილიონზე მეტი ევროპელი მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ქვეყანამ არაერთი ვალდებულება უნდა შეასრულოს.

სადაურსა სად წაიყვან...

ლეონიდა ქსეული ჯორჯ კობი,

ანუ უბრალო რაჭველი ბიჭუნას საოცარი თავგადასავალი

ჯორჯ კობი — ამ ფსევდონიმით ქართველი ბიზნესმენი და გამომგონებელი გრიგოლ კობახიძეა ცნობილი. იგი ქართველ გამომგონებელთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვინც სახელი მოიხვეჭა და თავის გამომგონებელ კომერციულად მომგებიან გახდა. გრიგოლ კობახიძე 1883 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ თხმორში, გლეხის ოჯახში დაიბადა. ბიჭუნას დიდი ნიჭთან ერთად კარგი ხმა და მუსიკალური სმენა დაჰყვა, ამავდროს პატარა გიგო საკმაოდ ცნობისმოყვარე გახლდათ. სწორედ ამიტომ, ათი წლისა იყო, როდესაც სახლიდან გაიპარა და კოხტვა-კითხვით ჩავიდა ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ, ბორჯომში, სადაც მინის ქარხანაში მისი უფროსი ძმა მუშაობდა. ბორჯომში ოთხი წელი დაჰყო, მინის წარმოების ტექნოლოგიას დაეუფლა და პროდუქციის გაზრდის მეთოდს შეიმუშავა. ქარხნის გამგებელმა, გერმანელმა შუმანმა, ნიჭიერი ბიჭი ბორჯომის მეპატრონეს, დიდ მთავარ მიხეილსა და მის მეგობარ კონსტანტინე მუხრან-ბატონს წარუდგინა. მათი ხელშეწყობით გიგო ჯერ თბილისის მინის ქარხანაში გადავიდა სამუშაოდ, შემდეგ კი, საქართველოს ფარგლებს გარეთ საქმიანობდა. ასე დაიწყო გრიგოლ კობახიძის ანუ ჯორჯ კობის თავბრუდამხვევი წარმატებებითა და განსაცდელით სავსე ცხოვრება.



ჯორჯ კობი და დიდი ღვაწლი

1929 წელს ამერიკაში დაიწყო თავისი მასშტაბებით არნახული ეკონომიკური კრიზისი. ე.წ. დიდი დეპრესიის პერიოდში ჯორჯ კობის საწარმო მილიონები დაკარგა, რის გამოც მისმა კომპანიონმა — ევგენი იგნატიევი თავი მოიკლა. სამაგიეროდ, ჯორჯ კობი არ შეშინებულა და თავდაუზოგავი შრომით ისევ მოახერხა ფეხზე წამოდგომა. თავის სახლთან მინის წვრილმანი ნივთების პატარა ფაბრიკა მოაწყო, გაიხსენა საწერი კალმებისა და საკანცელარიო ნივთების დამზადების ხელოვნება და მუშტარი გაიჩინა. მისი ბიზნესის გასაფართოებლად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა გიორგი მაჩაბლის შეკვეთა, რომელიც პარფიუმერიულ ნაწარმს ამზადებდა. ჯორჯ კობი მისი ფირმისთვის სუნამოს ფლაკონებს ამზადებდა. მიუხედავად წინსვლისა, იგი უფრო დიდ მასშტაბებზე ოცნებობდა. როცა აშშ-ში მეორე მსოფლიო ომში ჩაება, ჯორჯ კობმა ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა ამერიკის მთავრობას და ფინანსური დახმარება ითხოვა, რათა საომარი შეკვეთებისათვის მინის წარმოება დაეწყო. სახელმწიფოგან მიღებული ლიცენზიისა და ორი მილიონი დოლარის წყალობით როდელინის შტატის ქ. პატაკეტში გახსნა ქარხანა, რომლის ნაწარმით მოკავშირეებს ამარაგებდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კი, ჯორჯ კობმა კიდევ ერთი სიახლე დაწერა თავის წარმოებაში — ნაძვის ხის სათამაშოების დამზადება დაიწყო — ფერადი მინისგან ამზადებდა სხვადასხვა ფორმის სათამაშოებს, რომლებიც კანადაშიც გადიოდა. ამავდროს, შექმნა ქიმიური სითხით სავსე ელექტროსანთლები, რომლებმაც წამდეგის სანთლები შეცვალა. ორივე ეს ნაწარმი ხალხში ძალიან პოპულარული იყო.

სწორება სამუშაოსა და მოქმედების

1902 წელს გრიგოლ კობახიძემ ოდესის მინის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. 1903 წლიდან კი — კრასნოდარის გუბერნიაში არსებულ კონსტანტინოვიკის მინის ქარხანაში, რომელსაც — ფრანგი მენარმე გამანი ხელმძღვანელობდა. სწორედ იმ დროს დაუმეგობრდა გრიგოლი ევგენი იგნატიევი, რომელიც მოგვიანებით მისი პარტნიორი გახდა. 1907 წელს გრიგოლ კობახიძე გერმანიაში ჩავიდა, მიუნხენში დასახლდა და გერმანელი სპეციალისტების დახმარებით შუშის მცირე საწარმო შექმნა, თუმცა, ერთი წლის შემდეგ ლონდონში გადავიდა. 1909 წელს მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად ამერიკაში გაემგზავრა. იმ დროს ამერიკაში ბლომად ცხოვრობდნენ ქართველები, მათ შორის რაჭველები. მათი დახმარებით გიგო ნიუ-იორკში მოეწყო და თავიდან პურის ცხობით ირჩენდა თავს. შემდეგი ცხრა წელი მეუღლესთან ერთად იმუშავა „ჯენერალ ელექტრიკის“ ფირმაში და ფულს აგროვებდა საკუთარი საქმის წამოსაწყობად. იმ ხანებში ჯორჯ კობის ხელით შექმნილი ავტომატურმა საწერკალამმა რამდენიმე პატენტი მიიღო. ის ამავდროს, საკანცელარიო ნივთებითაც ვაჭრობდა.




ენყო და თავიდან პურის ცხობით ირჩენდა თავს. შემდეგი ცხრა წელი მეუღლესთან ერთად იმუშავა „ჯენერალ ელექტრიკის“ ფირმაში და ფულს აგროვებდა საკუთარი საქმის წამოსაწყობად. იმ ხანებში ჯორჯ კობის ხელით შექმნილი ავტომატურმა საწერკალამმა რამდენიმე პატენტი მიიღო. ის ამავდროს, საკანცელარიო ნივთებითაც ვაჭრობდა.

თავბრუნება სამუშაოში

1919 წელს გრიგოლ კობახიძემ მასაჩუსეტის შტატში, ბოსტონთან ახლოს დიდი ქარხანა გამართა. 1922 წელს მისი ფირმა უკვე 45 დასახელების პროდუქციას უშვებდა, ძირითადად, მინის ნაწარმს. ამ პროდუქციამ სულ მალე გაითქვა სახელი. 1929 წელს კობის წარმოების საქონელბრუნვა 15 მილიონ დოლარს აღწევდა, ხოლო შემოსავალი — 4 მილიონს. მიუხედავად ამ მიღწევებისა, გრიგოლ კობახიძე გამოგონებებსაც არ ღალატობდა — ამ დროისათვის ის უკვე 60-ზე მეტი პატენტის მფლობელი იყო. ცნობილია, რომ გრიგოლ კობახიძე დიდი სიხარულით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობას. დიდი სურვილი ჰქონდა სამშობლოში დაბრუნებულიყო და აქ გაეგრძელებინა თავისი საქმე, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც

დაფასება



ლეონიდა ქსეული იუბილუს ულოსავან

„ბატონო კახი, გულითადად გილოცავთ 80 წლის იუბილუსს. თითოეულ ქართველთან ერთად, მეც მემამყება და შთამაგონებს ქვეყნისა და პროფესიისადმი თქვენი უანგარო მსახურება, ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა, ქართული კულტურის მონაპოვარი — განუმეორებელი ოსტატობით შექმნილი თვითრეალური და კინო-როლები, რომლებზეც გაიზარდა და კვლავ გაიზრდება თაობები, მისაბაძი მოქალაქეობა, თავდადების ის იშვიათი ძალა, რომელიც სანიშნუა ყველა ჩვენგანისთვის — ყველაფერი, რის გამოც ხალხის ესოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეთ. კვლავ მრავალ შემოქმედებით წარმატებას, უშრეტ ენერჯისა და დღეგრძელობას გისურვებთ.“

საქართველოს პრეზიდენტი ბიორბი მარბევილაშვილი

* * *

„ბატონო კახი, მთელი გულით გილოცავთ 80 წლის იუბილუსს. თქვენი პროფესიონალიზმის, პიროვნული ხიბლის დამსახურება ხალხის ისეთი გულწრფელი და საყოველთაო სიყვარული, რომლითაც თქვენ სარგებლობთ. ხალხის სიყვარულზე დიდი და საპატიო ჯილდო კი არ არსებობს. ბატონო კახი, მადლობას გიხდით განუწელი ღვაწლისთვის, იმ სიამოვნებისთვის, რასაც დღემდე თქვენი შემოქმედება გვანიჭებს. კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებას.“

საქართველოს პრეზიდენტი-მინისტრი ირაკლი ლარიკაშვილი.

გამოგონებელი, ბიზნესმენი, ქველმოქმედი

ქობის გამომგონებებს შორის უმთავრესია წყალგამძლე ცემენტი და ზემდგრადი მინა-ბლოკი. ჯორჯ კობი კარგა ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ფლორიდაში და ხედავდა, რომ ფლორიდის ტენის ვერც ავტოზო და ვერც სე: ყველაფერი ძალიან მალე ფუჭდებოდა და ხელახლა გასაკეთებელი ხდებოდა. ჯორჯ კობიმ სულ რამდენიმე წელიწადში გამოიგონა ცემენტი, რომელსაც ტენი ვერას აკლებდა. აგურის შედგენილობაშიც მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა და შექმნა მინა-ბლოკი, რომელიც შენობის გარედან მოსაპირკეთებლად იყო განსაზღვრული და მზის შუქს არეკლავდა. ამ გამოგონებებმა ამერიკის მრეწველობაში ნამდვილი ფურორი მოახდინა — მოგვიანებით, 1930-იან წლებში, პირველი ცათამბჯენების აშენებისას, ჯორჯ კობის ეს გამოგონებები ფართოდ გამოიყენებოდა. გრიგოლ კობახიძე მთელი ცხოვრების განმავლობაში ეწეოდა ქველმოქმედებას, ეხმარებოდა ქართველ ემიგრანტებს და რადგან შვილი არ ჰყავდა, უნდა და კომპანიონად ქართველი სპეციალისტი მოეძებნა. თავის დროზე მისი შვილების, ან ახლო ნათესავების წაყვანაც უნდოდა ამერიკაში, მაგრამ ვერ შეძლო. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირში დაწყებული რეპრესიების გამო იძულებული გახდა, საერთოდ შეენწყვიტა ოჯახთან ურთიერთობა. საბოლოოდ გრიგოლმა კომპანიონებად იტალიური წარმოშობის ძმები ჯიმ და ჯული პაგლისები აიყვანა, რომლებმაც მისი საქმე წარმატებით გააგრძელეს. გრიგოლ კობახიძე 1967 წელს, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.



იმ ქართველ გამომგონებლებს შორის, რომლებმაც თავიანი ნიჭი უცხო ქვეყნებში გამოავლინეს, გრიგოლ კობახიძე ერთ-ერთი გამოჩენილია. რაოდენ სამწუხაროა, რომ მშობლიური სოფელი, რომელიც გრიგოლს ასე უყვარდა, დღეს უკვე ნასოფლარად არის ქვეული.

სათუნა ჩიგოძე

ალიან-ჩალიანი

ღარიკის ხეობაში მოძრაობა ივლიდა

ღამის საათებში დარიალის ხეობაში ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია. საქართველოს გარემოსდაცვითი რესურსების დაცვის სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარის საავტომობილო გზის კმ134-კმ135 (დარიალის ხეობა) მონაკვეთზე სტიქიური პროცესების გააქტიურების საფრთხეა, რის გამოც 2015 წლის 6 ივნისიდან, 19:00 საათიდან 07:00 საათამდე აღნიშნულ მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა იკრძალება. დღის დანარჩენ პერიოდში ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია გაუჩერებლად გავლის რეჟიმში. აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით. გზის დანარჩენ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დააკავეს მამრთაში პოლიციელები

შს-ს გენერალურმა ინსპექციამ ქრთამის ალბის, ქრთამის ალბაში დახმარების და დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით სამი პირი დააკავე. შს-ს ინფორმაციით, სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, ქრთამის ალბის და ქრთამის ალბაში დახმარების ფაქტზე, სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო დაცვის დეპარტამენტის №3 სამმართველოს მესაზღვრე-სპეციალისტი მამუკა ქიტუაშვილი და მისი თანამშრომელი პირი — ბიჭიკო გ. დააკავეს, რომლებმაც მოქალაქისგან საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვარზე ძვირფასი ლითონების საბაჟო წესების გვერდის ავლით გადმოტანის სანაცვლოდ, ქრთამის სახით 4 000 აშშ დოლარი აიღეს. გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა აღნიშნული დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე ასევე დააკავეს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო დაცვის დეპარტამენტის №3 სამმართველოს მესაზღვრე-სპეციალისტი ზურაბ რევაზიშვილი.

ინტერპრესი

ფეხბურთი

სეზონის ბოლო აკორდი



დამთავრდა ქართული საკლუბო საფეხბურთო სეზონი და პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა „ლელომ“, ტრადიციისამებრ, უკვე მეთავე, ამჯერად წიგნის მალაზიითა და „ბიბლუსში“ და ასევე პირველად – კომპანია „ლიდერბეთთან“ ერთად – XXVI ეროვნული ჩემპიონატის ლაურეატები დაჯილდოვა (პროექტის ავტორი – ჩვენი კოლეგა გია ტუხაშვილი). მას ასე, წარმოგიდგინო რჩეულებს ნომინაციების მიხედვით. საუკეთესო მწვრთნელი უჩა სოსიაშვილი („დილა“), შოთა ჭიჭიანი („ბათუმი“), კახა კაჭარავა („ცხინვალი“). საუკეთესო მეკარე


მიხეილ ალავეცი („ბათუმი“), თეიმურაზ კაკალაძე („შუქურა“), გიორგი ნადირაძე („ცხინვალი“). საუკეთესო მცველი ლაშა თოთაძე („დინამო“), ბორის მახარაძე („ბათუმი“), ალან ბაგაევი („დილა“). საუკეთესო ნახევარმცველი ნიკა კვეციანი, გუგა ფალავანდიშვილი (ორივე „დილა“), მათე ცინცაძე („დინამო“). საუკეთესო თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე („დილა“), გიორგი პაპუნაშვილი („დინამო“), ნიკა კაჭარავა („ცხინვალი“). საუკეთესო ახალგაზრდა (21 წლამდე) გიორგი პაპუნაშვილი, მათე

ცინცაძე, ოთარ კიტეიშვილი (სამივე „დინამო“). საუკეთესო დებიუტანტი გიორგი ჩელეძე („შუქურა“), გიორგი ერისთავი („დილა“), ბიძინა მახარაძე („ცხინვალი“). სეზონის აღმოჩენა გუგა ფალავანდიშვილი („დილა“), ნიკა კაჭარავა, ლაშა შინდაგორიძე (ორივე „ცხინვალი“). საუკეთესო ლეგიონერი ლუის ალბერტო („სიონი“), ადრიან პუკანიჩი („შუქურა“), ალან ბაგაევი („დილა“). საუკეთესო ფეხბურთელი ირაკლი მოდებაძე („დილა“), გიორგი პაპუნაშვილი („დინამო“), მიხეილ ალავეცი („ბათუმი“). საფეხბურთო დინასტიები კახა და ნიკა კაჭარავები („ცხინვალი“), რევაზ და გიორგი ჩელეძეები („შუქურა“), ვარლამ და გიორგი კილაშნიანი („მეტალოურგი“). ამ ნომინაციის დაარსების იდეა თბილისის „დინამოს“ ყოფილ პრეზიდენტს, დიმიტრი ბაზიძეს გაუზიარა. მისი იდეა გაუზიარა გიორგი ნადირაძე, რომელიც ამ იდეას გვერდს უკეთვს. დაბრუნება მწვრთნელი: შოთა ჭიჭიანი („ბათუმი“). მოთამაშე: ალექსანდრე იაშვილი („სამტრედია“). 2014-2015 წლების საფეხბურთო სეზონის საიმპორტო ნაკრები ალავეცი, ბაგაევი, მახარაძე, თოთაძე, ფალავანდიშვილი, პაპუნაშვილი, ჩელეძე, ცინცაძე, კვეციანი, კაჭარავა, მოდებაძე. მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი, შოთა ჭიჭიანი.


გიორგი შოთაძე

ნიჩოსნობა

ემზადებიან



ძარბაზი ნიჩოსნობის წლებულს მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ელით. ჩვენი სპორტსმენები მომავალი ტურნირებისთვის მონაწილეობით ემზადებიან. აკადემიური ნიჩოსნობის ამჟამად ფოთში იმყოფებიან და ორი ეკიპაჟი ნაკრების მთავარი მწვრთნელის გენადი პატარაის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. მცხეთელი ნიკოლოზ კანდელაკი ერთადგილიანი, ხოლო ოთარ მოთიაშვილი (მცხეთა) და გიორგი კანთელაძე (ქუთაისი) ორადგილიანი წყვილმოსახმელიანი ნაგებობს სულ მალე იტალიის ქალაქ ვარეზეში (მილანთან ახლოს) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისთვის. აგვისტოს მიწურულს კი საფრანგეთის ქალაქ ბულონში აკადემიური ნიჩოსნობის მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატში ჩაებმებიან. მინგეჩაურში გადიან სანვრთნელ შეკრებას ზაზა ნადირაძე (მცხეთა, კანოე) და ბადრი ყაველაშვილი (თბილისი, კაიაკი). შარ-



შან მათ კონტინენტის პირველობაზე იყოჩაღეს და პირველი ევროპული თამაშების საგზურები მოპოვეს, ნადირაძემ კი 23-წლამდელობა ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. იგი მიწვეულია ჩაუბრუნდეს თამაშების მედლის პრემიენტი.

ვივი ბაგუა
სურათებზე: ზაზა ნადირაძე; ბადრი ყაველაშვილი. შაშა დანელიას ფოტო.

კალათბურთი

სუპერნიკელი „მეომრები“ ივერთაგანით დანიშნულნი

გაშინდნ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის სუპერნიკელი სერიის პირველი შეხვედრა ოკლენდში გაიმართა, სადაც ერთმანეთს „გოლდენ სტიტი“ და „კლივლენდი“ დაუპირისპირდნენ. პირველი პერიოდი „კავალიერებმა“ 10-ქულიანი სხვაობით მოიგო – გუნდს ლებრონ ჯეიმსი ლიდერობდა. პირველი პერიოდში „მეომრების“ ლიდერ სტივ კარის ტყორცნა არ მისდობდა, თუმცა, შემდეგ ორ პერიოდში „ოქროს შტაბელმა“ მოახერხეს სხვაობის აღმოფხვრა. მატჩის დასრულებამდე 8 წამით ადრე ანგარიში 98:98 იყო. ლებრონ ჯეიმსმა სამქულიანი ესროლა, თუმცა კალათბურთი არ მიიღო. შეხვედრაში დამატებითი 5-წუ-

თული დანიშნა. „კლივლენდის“ გულშემატკივრთა სამწუხაროდ, ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში კარი ირვინგმა მუხლის ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ოვერტაიმში ოკლენდელთა ლიდერი სტივ კარი უკეთესად გამოიყურებოდა და 5-წუთული „მეომრებმა“ 10:2 მოიგეს. საბოლოო ანგარიში 108:100 „გოლდენ სტიტის“ სასარგებლოდ დაფიქსირდა. „კლივლენდს“ 44 ქულით, 8 მოხსნით და 6 პასით ლებრონ ჯეიმსმა ულიდერა, ხოლო „გოლდენ სტიტში“ 26 ქულით სტივ კარი გამოირჩა. „კლივლენდის“ ნაკრების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ისაა, რომ გუნდის ექვსმა კალათბურთელმა მოახერხა 1 ქულის დაგროვება მანინც, ხოლო „გოლდენ სტიტმა“ უფრო გუნდური კალათბურთით ითამაშა და ათმა კალათბურთელმა მოახერხა მინიმუმ 2 ქულის ჩაგდება. სერიის მეორე თამაშში 8 ივნისს ისევ „გოლდენ სტიტის“ დარბაზში გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე



ზაპო – 2015

ოთხი რუბინი - გოფიკ ხასრაშვილი

პირველი ევროპული თამაშების ორგანიზატორებმა მშვილდოსნობა იმთავითვე შეიტანეს ბაქოს ბატალიების პროგრამაში. პაექრობები 16-22 ივნისს ცნობილი საფეხბურთო არბიტრის – ტოფიკ ხასრაშვილის სახელობის სტადიონზე გაიმართება. ეს სარბიელი 1951 წელსაა აშენებული, მაგრამ 2012 წელს გაურემონტებიათ და იქ მრავალი მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიება ეწყობა. თამაშებში 64-64 რუბინი ქალაქი ჩაებმება, მათგან ოთხი – საქართველოდან. ესენი არიან: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ქრისტინე ესეხუა, საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, ევროპის ზამთრის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი პირადასა და გუნდურში ხათუნა ნარიმანიძე, ასევე, იულია ლობჯანიძე და ვაჟეში – ლაშა ფხაკაძე. ჩვენმა სპორტსმენებმა ბაქოს ლიცენზიები შარშან სომხურ ემბიამში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დაიმსახურეს.



ქალები პირადად იასპარეზებენ და გუნდურშიც. ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად წარმატებული იქნება ჩვენების გამოსვლა საკვალიფიკაციო ეტაპზე – რაც მეტი ქულებით დაასრულებენ შესარჩევს, მით უკეთესი, რადგან პირადი პირველობის პლეი-ოფში თავიდან ძლიერ მეტოქეებს აირი-დებენ, რვა უძლიერესში მოხვედრისას კი პირველ რეზი დაისვენებენ. ჩვენს მშვილდოსნებს მედლებისთვის ბრძოლა ძალუძთ და, იმედი, ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ.


ლაშა დიღია



როგორ

მესამედ – პარიზში

სერენა უილიამსი საჩოგბურთო კარიერის განმავლობაში მესამედ გავდა საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში. წინა 2 გადამწყვეტი მატჩი უილიამს-შემცროსმა მოიგო, წლებულს კი „როლან გაროსის“ მოსაგებად ჩეს ლუსი შაფარუოვასთან მოუწევს დაპირისპირება, რომელმაც სერბ ტურეზა ანა ივანოვიჩთან გაიმარჯვა – 7:5, 7:5. ნახევარფინალში სერენამ შვეიცარიელ ტიმა ბაჩინსკის 4:6, 6:3, 6:0 სძლია. ბაჩინსკიმ პირველი სეტის მოგების შემდეგ მეორე პარტიაც კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ სერენამ თამაშის სადავეები იპყრო ხელით და ბოლომდე არ გაუშვია. მის ანგარიშზე 5 ბრეიკი და 8 ეისია. ნახევარფინალური პაექრობა საათსა და 54 წუთს გაგრძელდა. სერენასა და ტიმეას ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 3:0 გახდა. „მესამე წრის მატჩის შემდეგ გრიპის ვირუსი შემეყარა და მას შემდეგ მოყოლებული თავს შეუძლოდ ვგრძნობ. ბაჩინსკისთან შეხვედრისას ისეთი ტკივილი ვგრძენი, რაც აქამდე არ განმიცდია“, – განაცხადა სერენამ ფინალში გასვლის შემდეგ.



კოკა კოვასიძე

ინტერნეტიდან

პიტორია რიში „იუვენს“ სათითო ყველას დანებდა

ჩვენ უკვე ვწვდით ცნობილი იტალიელი პორნოვარსკვლავ ვიტორია რიზიზე, რომელიც ტურნის „იუვენტუსის“ დიდი გულშემატკივარია და ეს მრავლისმნახველი ქალბატონი მუდამ მზადაა, რომ რამდენი ზოლიც „იუვენს“ მისურნა, იმდენ ადამიანს დანებდეს, ოდენ მისმა საყვარელმა კლუბმა გამარჯვებები დაიბრუნოს. დღეს ჩემპიონთა ლიგის ფინალია და აბა რა გასაკვირია, რომ ტურინული კლუბის მილიონობით ტიფოზთან ერთად მკერდლია, რომ ახლა სწორედ ის დროა, როდესაც „იუვენტუსის“ განემი-ონების ფაზა დადგა. ვიტორია რიზი ტრადიციულად პირობას დებს, რომ თუკი „იუვენტუსმა“ შეძლო და კატალონიის „ბარსელონას“ ევროპის უპირველესი თასი ააწაპნა, იგი მზადაა „ზებრების“ ყველა ნევრს, დანაყებულ ფეხბურთელებთან და დამთავრებული მომსახურე პერსონალით – ყველგან დანებდეს. ისე, „დანიებება“ ამ ქალმა რომ იცის, ეგეთი უნდა..


როსტომ რაჭველიშვილი



წიგნი

ის იყო სახლი, როგორც ჩერქვეზა...

იზვიატად წამოიჭრა მკვლევარული იდეა, რომელიც აკადემიური წიგნი, როგორც აქართველი საზოგადოებისთვის დიდად პატივსაცემი პიროვნების, ცნობილი გეოლოგისა და პუბლიცისტის ბატონ ილაშვილის მიხედვით წიგნი „მოგონებების ნამცერევი“.



ეს პატარა, სულ ორი თავისგან – „წარსულის სიხარული“ და „სიმღერაში დაკარგულები“ შემდგარი წიგნი ბატონმა ილაშვილმა მიხედვით მეგობრების ნათელ ხსოვნას მიუძღვნა. იგი შესავალშივე უამბობს მკითხველს იმის თაობაზე, თუ რა იყო ახალგაზრდობის მოგონებათა ერთი მცირედი ნაწილის „ერთი ჩერქვეზა“ თავმოყრის შექმნილი ძალა:

„...ბევრი რამით არის სიბერე ძნელი. თუნდაც იმით, რომ რაღაც ვაღივებ დაბრუნებაზე დაფიქრებასა საჭირო. შეძლებისდაგვარად მეც მინდა, ასე მოვიქცე – მეგობრების სითბოთი დავალეხულს, ვალი სიკეთითვე მინდა, გადავიხადო და მათი ენაწყლიანობის ნიმუშებს მარანებში დავუშვავი – დიმილიანი სიტყვაც ხომ სიკეთის თამაშსაა. გულსატკეპნი ის არის მხოლოდ, რომ იმათგან, ვისაც, დარწმუნებული ვარ, დაესაღებუნებოდა ეს მცირე მოგონება, ბევრი აღარ არის ჩვენს შორის.“

მუხლს ვიყრი მათი ნათელი ხსოვნის წინაშე.“

იმასაც ამბობს ბატონი ილაშვილი, რომ, „წინააღმდეგობრივად მესხიერებას არც თუ ბევრი რამ შემორჩა. ამ მოგონებებიდანაც ზოგი თავის დროზე ქალაქის ნაგებობა თუ ხელსახოცზე ნაუცბათევი ჩანანერის წყალობით აღვადგინე, ზოგი – მეგობრებმა შემომთავაზეს.“

ბატონი ილაშვილის სამეგობრო, ცხადია, ძალიან დიდია, მაგრამ, რომ იტყვიან, „უახლოეს წრეს“ კოლეგები, საქართველოში ცნობილი გეოლოგები – ბატონები ნოდარ ცინცაძე, გურამ სიხარულიძე, ჯემალ გაბეჩავა, ვაჟა ჭუმბურიძე, გურამ პეტრიაშვილი, იოსებ ტულუში, ჯანიკო გიორგაძე, სხვები შეადგენენ. სწორედ ამ უახლოეს მეგობართა წრეში მომხდარ არაერთ ტკბილ, გულის გამთბობ სახალისო ამბებს გვიამბობს ავტორი, თუმცა კი ამ სტრიქონებს ხშირად სევდის ელფერიც სდევს, რადგან ზოგი ამქვეყნად აღარ არიან. ეს სახალისო ამბები მეგობრებს პურ-მარხილებშიც, სამსახურშიც და საველე სამუშაოების დროსაც გადახდენით, სადაც ენამოსწრებულნი თქმა და სიცილი მუდამ თან სდევდათ.

განსაკუთრებული სიფაქიზით იხსენებს ბატონი ილაშვილი სამეგობროშიც კი გამორჩეულ, უკეთილშობილეს კაცს, დიდი ხნის წინათ უდროოდ დაღუპულ ჯანიკო გიორგაძეს.

„მოგონებების ნამცერევი“ ბატონი ილაშვილის მეგობრების ფოტოები და მხატვარ ზალიკო სულაკაურის მეგობრული შარუები ამშვენებს, განსაკუთრებულ ემსს კი ამ ხალხისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი სძენს. მათგან მკითხველს ერთის, ბატონ ჯანიკო გიორგაძის სიტყვები მინდა შევთავაზო:

ამ იყო სახლი

აქ იყო სახლი, აქ სახლობდა ბატონი ილაშვილი, შემდეგ უთვალავ წელიწადთა იყო თოვანი. ოდნავ შევნი დავიწყების ხელი მსახვრალი და აღიგავა ის სახლიც და ის ნასახლარიც.

ხარობდა ვაზი გაზაფხულზე კვირტების გაშლით, უსურვებია, დამმარხეთო ვენახის თავში და შენ, შენ მაინც სადღა გაჰქრი ნავენახარო, რომ მინდა ქვეულ ძველებს სიცოცხლის ცრემლი აყარო!

მრავალჯამიერ გუგუნებდა იქ, სადაც ოდით, დღეს ის ადგილი შევიცანით სამარის ლოდით და იმ ლოდზედაც დრომ რომ ბევრი ღამე ათია, ხავსით ეწერა დავიწყების ეპიტაფია.“

აი, ასე ბატონებო: „...ბევრი რამით არის სიბერე ძნელი. თუნდაც იმით, რომ შეცვლა გიხდება მომავლის იმედებისა წარსულის მოგონებებით...“

ოთარ ტურაბელიძე

მტრობას მოუკვდა პატრონი!

გზა - მეუფე ისაიას!

როგორც შინააპრობაში კვამთ ოსაბს

ვთხოვ, ვისაც აქვს მეობა, – აქ ქართველებს, იქ ოსებს, დაუბრუნეთ მეუფე ისაია ნიქოზებს!

განა ჭორად განაგონს გუგუნებით, მაგრამ ვის აქვს ნება, რომ განაგოს ბედი უფლის ნაგარამის?! მაისს მოჰყვა ივნისიც, გულზე ეკლად მესობა, რომ ვერ მიდის შინ მისი უსამღვედელოესობა. და თუკი გაქვთ მეობა, აქ ქართველებს, იქ ოსებს, დაუბრუნეთ მეუფე ისაია ნიქოზებს!

ჯემალ ინჯია ქ. გორი.

წკაპალიკა

ვის მფარველობთ „ამერიკელები“?!

მიშა, პუტინი განებივრებულია შენგან საჩუქრებით: ახლაც მოუთმენლად ელოდება, როდის მიართმევ ოდესის ოლქს. მაშინ იქნებ მიხვდეს უკრაინის მთავრობა, თუ ვისთან აქვს საქმე, მაგრამ გვიან იქნება. და ერთიც: ამერიკელებო, ვის, ვის მფარველობთ, მსოფლიო ავანტიურისტს? თქვენი პოლიტიკით პუტინის წისქვილზე უშვებთ წყალს? გონს მოეგეთ!

ლონდა გივიანი

2014 წელს 1 316 006 პირია დაჯარიმებული

„2013 წლის სექტემბრის თვეში IDFI-მ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებულ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოადგინა 2011-2013 წლების შესაბამის პერიოდებში დაკისრებული ჯარიმების ოდენობების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რომელმაც აჩვენა, რომ 2013 წლის სანჯის 6 თვის განმავლობაში საპატრულო პოლიციის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო დაკისრებულ ჯარიმათა რაოდენობა 2011 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზარდილი იყო 9 971 876 ლარით (47,2%-ით), ხოლო 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12 830 187 ლარით (70% -ით).“


აღნიშნული მონაცემების გამოქვეყნების შემდგომ, 2013 წლის მიწურულს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში შევიდა ცვლილება და მთელი რიგი საგზაო წესების დარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმების ოდენობა შემცირდა.

IDFI დაინტერესდა, როგორ აისახა აღნიშნული ცვლილებები 2014 წელს საპატრულო პოლიციის მიერ დაკისრებული ჯარიმების საერთო ოდენობაზე და 2015 წლის 26 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა 2012-2014 წლებში საპატრულო დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო დაკისრებულ ჯარიმათა, მათ შორის ვიდეო ჯარიმათა ოდენობის მოთხოვნით. სამწუხაროდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯარიმათა თანხობრივი საერთო ოდენობების შესახებ ინფორმაციის მონოდებისგან თავი შეიკავა და ინსტიტუტს აცნობა მხოლოდ დაჯარიმებულ პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები.

როგორც მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, 2014 წელს საპატრულო პოლიციამ სულ დააჯარიმა 1 316 006 პირი. 2014 წელს დაჯარიმებულ პირთა რაოდენობა 82 254-ით აღემატება 2013 წლის მაჩვენებელს, ხოლო დაახლოებით ორჯერ მეტია 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით, – აცხადებენ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტში.



პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები: რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დათო დათოშვილი, დემურ მიქაძე, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულა, თამაზ ყაჭვიშვილი, გურამ ახრახაძე, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი ღრმად მწუხარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ქართველი ინტელექტუალის ბრწყინვალე წარმომადგენელი, საბჭოთა საქართველოს ბოლო წლების ხელისუფლების თვალსაჩინო მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი, ბატონი



გურამ გვალიაძე და სამიძმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი, სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, რესპუბლიკის აღიარებული აგროარიკოსი

გურამ გვალიაძე საქართველოს სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი, სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, რესპუბლიკის აღიარებული აგროარიკოსი

გარდაიცვალა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი, სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, მუდამ სიახლის მაძიებელი და შედეგებზე ორიენტირებული, სიკეთით სავსე და ყველას დამხმარე და უღალატო მეგობარი, ლალი მამულიშვილი.

მეგობრებო

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია ღრმა მწუხარებით იუნყებიან მეგობრის, ქვეყნის მოქალაქის, მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის, მრავალი სასიკეთო საქვეყნო თაოსნობის წამომწყობისა და ხორცმეცხმელის, ცნობილი აბაშის ექსპერიმენტის სულის ჩამდგმელის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესანიშნავი ორგანიზატორის

გურამ გვალიაძის გარდაცვალებას და სამიძმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვალერი ჭანტურია ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქვეყნო საქმეებისთვის თავდადებული ადამიანი და მამულიშვილი, საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე

გურამ გვალიაძე და სამიძმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ გუნავა, რომან კიზირია, დარეჯან ელიაძე, კუკური ლასარეიშვილი, გალაქტიონ კუცია, გიორგი დუნდუა, ბორის ლასარეიშვილი, ნოე კაჭარავა, ვალერიანე ტოტოჩია, ნაზი გრიგოლია, გულიშა ურიდია, ზაურ თელია, გიორგი გვაზავა, სვეტა სიმონია, მარგო კაჭარავა, ლერი ჩოჩია, ვაჟა ტაბიძე, მიშა ჟვანია ღრმა მწუხარებით იუნყებიან ღვანლმოსილი პიროვნების, სოფლის მეურნეობის დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლის, აბაშის ექსპერიმენტისა და გარდაქმნების ფუძემდებლის, აბაშისა და აბაშელეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის

გურამ გვალიაძის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მარინა კანდელაკი, თენგიზ კალანდაძე, გურამ გოგიაშვილი, ალექსანდრე შვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულა და დიდი გულსტკივილით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა მეოცე საუკუნის ნამდვილი რეფორმატორი, ქართული სოფლის მეურნეობის გარდამქმნელი, წლების განმავლობაში აბაშის რაიონის თავკაცი, ქვეყნის პატრიოტი, მეგობარი და რაინდული სულის ვაჟკაცი, სოციალისტური შრომის გმირი

გურამ გვალიაძის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

მეუღლე ნაზი საღარეიშვილი, შვილი ლევან მესხუბლა, დები ლამარა, თინა მესხუბლები, რძლები მაკა კახაძე, ნათელა საყვარელიძე, შვილიშვილები ანასტასია, ლიზა, მარიამ, ზაზა მესხუბლები, დისწული ქეთი კვირიკაძე, ძმისწულები თინა, გიგა, ნიკოლოზ, ირინა მესხუბლები იუნყებიან

ტარიელ აპოლონის ძე მესხუბლას გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 VI, 17 სთ. გამოსვენება 9 VI, 14 სთ. მისამართი: ალ. გრიბოედოვის ქ.№20.

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.

ღღესასწაული

ყოველთა წმიდათა კვირიაკე კატრიკაგლობის მარხვის აღება, წმიდა იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნა

7 ივნისს ყოველთა წმიდათა კვირიაკედ წოდებულ ღღესასწაულზე იესო ქრისტემ თქვა: „დაედაკაცთაგან შობილთა შორის არ აღმდგარა (არ ყოფილა) იოანე ნათლისმცემელზე უმეტესი (წინასწარმეტყველი)“.

იოანე ნათლისმცემელი ეკლესიის მიერ განიჭებულა და ნათლისმცემელზე, იოანეზე იესო ქრისტემ თქვა: „დაედაკაცთაგან შობილთა შორის არ აღმდგარა (არ ყოფილა) იოანე ნათლისმცემელზე უმეტესი (წინასწარმეტყველი)“.

იოანე ნათლისმცემელი ეკლესიის მიერ განიჭებულა და ნათლისმცემელზე, იოანეზე იესო ქრისტემ თქვა: „დაედაკაცთაგან შობილთა შორის არ აღმდგარა (არ ყოფილა) იოანე ნათლისმცემელზე უმეტესი (წინასწარმეტყველი)“.

850 წელს პატიოსანი თავი გადასვენეს სასახლის ეკლესიაში. ხოლო ნაწილი თავისა ინახება ათონზე.

გიული ლიპარტია

კროსვორდი

კროსვორდი გიგანტური სკანოვანი კროსვორდი. მარჯვნივ ზედა კუთხეში ადამიანის ფოტოა. კროსვორდის სკანოვანი კროსვორდი. მარჯვნივ ზედა კუთხეში ადამიანის ფოტოა.


ყურადღება! იყიდება დიდ დილოში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. 1 კვ.მ. – 120\$, ორ ნაწილად გაყოფისას – ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

განცხადება იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდ მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7. 293-37-87; 568 82-09-84.

იყიდება დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუნებრივ, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათასი კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

ციცხალი ანეკლოტიკი მშ და ჩემი ქმარი მუდამ ვცვლით ერთმანეთში აზრებს. მოდის თავისი აზრით, მიდის კი ჩემით. * * * ტიპზე მანქანა ეზოში გააჩერა და, აქაოდა, არ მომპარო, საქარე მინაზე წარწერა გააკრა: „მაგნიტოფონი არ არის, აკუმულატორი მოიპარეს, ძრავა არ მუშაობს“. დილით ეზოში ჩამოდი. მისი წარწერის გვერდით ახალი წარწერა: „მაშინ საბურავებიც რა ჯანდაბად გინდა?“ მასწავლებელი მიხოს ნანერს ასწორებს: — პირდაპირ წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა ამდენი შეცდომა დაუშვას ნაწერში! — რატომ ერთმა — მამასთან ერთად! * * * ცოლ-ძმარი ჩხუბობს: — დაშა, ხმა ჩაიწყვიტე საერთოდ! ვიტრინაზე შემოდებული ბოლო წყვილი ფეხსაცმელივით ხარ! — რაო? — ასმა ადამიანმა მოგიზომა, მე კი, დებილმა, აგიღე! ნარკომანი ფლეიერს უსმენს და ტაქსის აჩერებს. — შეფ, თავისუფალი ხარ? — კი. — მაშინ ჩამოდი, ვიცეკვოთ!



ავტორთა საყურადღებო რედაქციის მიერ შეუქვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა მანაბლის ქ. №7 ინდექსი 66434

გამომცემლობა: შპს „თანადგომა“-ი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

ISSN 2233-3853 9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსიანი 599 17-21-21; სპარტაკ ქოჭულიანი 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძე 514 33-33-24